

ანა ფირცხალაშვილი, გიორგი მირიანაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მონეტის საფუძვლები

(პრაქტიკული სახელმძღვანელო)



გამომცემლობა „მნიგობარი“
თბილისი, 2018

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში

სარჩევი

ავტორები:

ანა ფირცხალაშვილი, სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

გიორგი მირიანაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოორდინატორი

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლებების მქონე სუბიექტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

რედაქტორი:

მალხაზ ბეგიაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი

დამკაბალონებელი

თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-473-73-9

წინასიტყვაობა..... 9

I. საქართველოს მმართველობის ფორმისა და

ტერიტორიული მოწყობის მოკლე მიმოხილვა 12

II. საქართველოს პარლამენტი..... 19

1. საქართველოს პარლამენტის სტატუსი, არჩევისა და დათხოვნის წესი 19
2. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი და გარანტიები..... 21
3. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა 23
4. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 24
5. საქართველოს პარლამენტის მუშაობის წესი..... 25
6. საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციური სისტემა და თანამდებობის პირები 27
 - 6.1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 28
 - 6.2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ... 28
 - 6.3. საქართველოს პარლამენტის ბიურო..... 29
 - 6.4. საქართველოს პარლამენტის კომიტეტები..... 30
 - 6.5. ფრაქცია..... 32
 - 6.6. საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა 33
 - 6.7. დროებითი საგამოძიებო კომისია 34
 - 6.8. სხვა დროებითი კომისია..... 36
 - 6.9. ინტერფრაქციული ჯგუფი..... 37
7. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები 38

7.1. საკანონმდებლო უფლებამოსილებები.....	39
7.1.1. საკანონმდებლო პროცესი	39
7.1.2. საკანონმდებლო წინადადება	46
7.1.3. განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურა	48
ა) საკანონმდებლო აქტის პროექტის გამარტივებული წესით განხილვა და მიღება.....	49
ბ) საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება	49
გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება.....	49
7.1.4. საქართველოს პარლამენტის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სხვა ფორმები.....	52
7.2. უფლებამოსილებები კონტროლის სფეროში	53
7.2.1. საქართველოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება.....	54
7.2.2. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტის საქმიანობის კონტროლი	55
7.2.3. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია.....	55
7.2.4. თანხმობის გაცემა ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერებაზე ან დათხოვნაზე	56
7.2.5. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის კონტროლი	56
7.2.6. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის კონტროლი	56
7.2.7. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა.....	57
7.2.8. პარლამენტის მიერ მიღებული და აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი	57

7.3. უფლებამოსილებები საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში	58
7.4. უფლებამოსილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში.....	59
7.5. თანამდებობის პირთა არჩევისა და დანიშვნის კომპეტენცია.....	61
7.6. უფლებამოსილებები სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში.....	62
7.7. თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის უფლებამოსილება	63
7.8. საგამოძიებო უფლებამოსილებები.....	64
7.9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის კომპეტენცია	66
7.10. რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ მოთხოვნის წამოყენების უფლებამოსილება.....	67
7.11. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილება.....	67
III. საპარტოველოს პრეზიდენტი	69
1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი	69
2. საქართველოს პრეზიდენტის იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა	71
3. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები.....	71
4. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და მათი კონტრასიგნაციის წესი	74
5. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესი.....	77
IV. საპარტოველოს მთავრობა	79
1. საქართველოს მთავრობისთვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების წესი, მთავრობის წევრის იურიდიული პასუხისმგებლობა	80
2. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები	84
2.1. ეკონომიკური მიმართულება.....	84
2.2. სოციალური მიმართულება	84

2.3. ძალგვანი/უსაფრხოების/თავდაცვის მიმართულება.....	85
2.4. საგარეო პოლიტიკის მიმართულება	86
2.5. სამინისტროების კოორდინაცია, მართვა და ტერიტორიული კონტროლი.....	86
2.6. კანონიერებაზე ზრუნვა და საზოგადოებრივი ნესრიგის დაცვა.....	87
3. საქართველოს მთავრობის სტრუქტურა.....	87
4. საქართველოს მთავრობის მუშაობის ნესი და მთავრობის სამართლებრივი აქტები	90
5. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციის ნესი.....	91
V. სასამართლო ხელისუფლება.....	95
1. საქართველოს საერთო სასამართლოები.....	96
1.1. საერთო სასამართლოების სისტემა	96
ა) საქართველოს უზენაესი სასამართლო.....	97
ბ) სააპელაციო სასამართლო.....	99
გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო.....	100
1.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილებები.....	100
1.3. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია	102
1.4. მოსამართლის სტატუსი და თანამდებობაზე განწესება	103
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.....	104
2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ნესი.....	105
2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა.....	106
2.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები.....	106
3. მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან	109

4. მოსამართლის დამოუკიდებლობა და იმუნიტეტი	109
5. სამართალწარმოების პრინციპები.....	110
VI. სახელმწიფო ფინანსები და მისი კონტროლი.....	112
1. სახელმწიფო ბიუჯეტი.....	113
2. გადასახადები და მოსაკრებლები.....	115
3. საქართველოს ეროვნული ბანკი	116
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური	117
VII. საქართველოს თავდაცვა და უსაფრთხოება	120
1. თავდაცვის ძალები.....	120
2. სამარი და საგანგებო მდგომარეობა	121
3. თავდაცვის ძალების გამოყენება	125
VIII. ადგილობრივი თვითმმართველობა	127
1. ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები	127
2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები	130
3. მუნიციპალიტეტის ორგანოები.....	134
3.1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.....	134
3.2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო	140
IX. კონსტიტუციის გადასინჯვა	143
1. კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიცირება	143
2. კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა	143
3. კონსტიტუციური კანონის მიღება.....	144
4. კონსტიტუციური კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება.....	145

X. არჩევნები და რეფერენდუმი..... 147

1. არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის ჩატარების
პრინციპები..... 147

2. არჩევნების დანიშვნა საქართველოში..... 150

3. რეფერენდუმი..... 151

4. პლებისციტი..... 153

5. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია..... 153

საქართველოს კონსტიტუცია..... 155

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს
კონსტიტუციური კანონი 222

წინასიტყვაობა

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა.

კონსტიტუციის გადასინჯვა 1999 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი კანონის ფუნდამენტურ ცვლილებას, 2017 წლამდე, ორჯერ - 2004 და 2010 წლებში განხორციელდა. სამივე საკონსტიტუციო რეფორმა სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას ან არსებულის საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმის ძიება 2017 წელს კლასიკური საპარლამენტო მმართველობის ფორმის ჩამოყალიბებით დასრულდა.

საქართველოში თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის განვითარებას კი კარგად ასახავს ტენდენცია - „საპრეზიდენტონდან საპარლამენტოსკენ“. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით მმართველობის ფორმად განსაზღვრული იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა. **პირველი, 2004 წლის** საკონსტიტუციო რეფორმით იგი ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემით შეიცვალა. თუმცა, შეკავება-დაბალანსების მექანიზმი იმდაგვარად იქნა ფორმირებული, რომ შედეგად ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა ჩამოყალიბდა. **მეორე, 2010 წლის** საკონსტიტუციო რეფორმა, ძირითადად პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. რეფორმის შედეგად აღმასრულებელი ხელისუფლება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისდამი პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადება პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელი იყო. საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, ასევე შეუსაბამო იყო პრეზიდენტისა და მთავრობის „დუბლირებული“ უფლებამოსილებები. რადგან 2010 წლის რეფორმით, მოქმედი კონსტიტუცია „გაუმართავ საპარლამენტო მმართველობის

სისტემას“ ადგენდა, **მესამე, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის** მთავარ ამოცანად განისაზღვრა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში ნათქვამია: „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას“.¹

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაასრულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს ახალი სახელმწიფო მოწყობის, კონსტიტუციური ინსტიტუტების მოკლე, მაგრამ ინფორმატიურ დახასიათებას, მათი არჩევის წესის, ფუნქციების და უფლებამოსილებების აღწერას. იგი ვერ იტვირთებს კონსტიტუციური სამართლის თეორიული კურსის მისიას, რადგან არ არის განკუთვნილი კონსტიტუციური სამართლის სფეროში სრული თეორიული ცოდნის მისაღებად.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, იურისტებისთვის, სახელმწიფო მოხელეთათვის და სახელმწიფო მოწყობით დაინტერესებული პირებისათვის. სახელმძღვანელო ასევე საინტერესოა სახელმწიფო მოწყობის სამართალში ცვლ-

¹ CDL – AD (2017)023. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), “Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017”. Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017). Para 51.

ილებების გასაცნობად და ცოდნის გასანახლებლად. მისი გამოყენება ასევე რეკომენდირებულია კონსტიტუციური სამართლის ნაწილში ტესტირება/სერტიფიცირებისათვის, ადვოკატის, მოსამართლის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდებში მოსამზადებლად.

აღნიშნულ გამოცემას თან ერთვის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ძალაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს შედის. გარდა ამისა, თანდართულია 2017 წელს მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი.

ანა ფირცხალაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

I. საქართველოს მმართველობის ფორმისა და ტერიტორიული მოწყობის მოკლე მიმოხილვა

ტერმინი „მმართველობის ფორმა“ მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოწყობაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მოქმედების პირობებში მმართველობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. 1995-2004 წლებში საქართველოს მმართველობის მოდელი იყო საპრეზიდენტო, 2004-2013 წლებში ნახევრადსაპრეზიდენტო, 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებიდან 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე ნახევრადსაპარლამენტო, ხოლო მისი ამოქმედების შემდეგ საქართველოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცერემონიალური სტატუსის მქონე, წარმომადგენლობითი, შეზღუდული უფლებამოსილებებით აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაური. ასეთი მმართველობის პირობებში უზრუნველყოფილია პარლამენტის ინსტიტუციური უზენაესობა, მისი განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი და როლი სხვა ორგანოებს შორის. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით მყარი საფუძველი ჩაეყარა პროცედურულ დემოკრატიას, რაც სახელმწიფო ხელისუფლების მითვისების რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანიზება, სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა. განასხვავებენ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულსა და ფედერაციულს. განსხვავება აღნიშნულ ორ ფორმას შორის არის ის, რომ უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ-ად-

მინისტრაციული ერთეულებისაგან მხოლოდ სუსტი სახელისუფლებო უფლებამოსილებებით, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს, უფრო ძლიერი მმართველობითი ხასიათით, მაგრამ სუვერენიტეტის გარეშე. რაც ორივე ტიპის ტერიტორიულ მოწყობაში გვხვდება არის ის, რომ ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა ორივე სახელმწიფოში არსებობს. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სახე განისაზღვრება იმით თუ როგორ არის გადანაწილებული უფლებამოსილებები ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შორის.

საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავში განსაზღვრულია ის უფლებამოსილებები, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება, ესენია:

- კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებების, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;
- სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების, სამოქალაქო სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის, საპროცესო კანონმდებლობა; მინის, ნიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა; ფარმაცევტული საშუალებების კანონმდებლობა; კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების, აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ; კანონმდებლობა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ;
- საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები; საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;
- სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო

და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; შეიარაღებული ძალები; სასამართლოები და პროკურატურა; სახელმწიფო უსაფრთხოება; კრიმინალური პოლიცია და გამოძიება; სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

- სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა და ემისია; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგადასახადო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაჭრობის კანონმდებლობა;
- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსები და მათი დაცვა; ავიაცია; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები; თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში; მეტეოროლოგია; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა.

საქართველოს კონსტიტუცია აჭარასა და აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ანიჭებს. კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული და მოქმედებს მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არაღიარებული სეპარატისტული რეჟიმი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონი არ

არის მიღებული. მისი მიღება დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

კონსტიტუციის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია ექსკლუზიური (განსაკუთრებული) და დელეგირებული უფლებამოსილებები. მის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;
- საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;
- საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;
- საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა;
- საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება;
- ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა;
- ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

- საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო ნოდებების დადგენა და მინიჭება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს დამოუკიდებლად, ცენტრალური ხელისუფლების ინტერვენციის გარეშე ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები.

სახელმწიფოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის უფლებამოსილების დელეგირება დასაშვებია კანონით და იმ შემთხვევაში თუ მას გადაეცემა ასეთი უფლებამოსილების რეალიზაციისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები.

ნიშანდობლივია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის, გარემოს დაცვის სფეროში განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ, საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც, საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის ძალა აქვს.

2007 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, სათანადო

პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის შესაბამისად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე 2007 წელს შეიქმნა დროებითი-ადმინისტრაციული ერთეული. კანონის თანახმად, დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობითი ორგანოა დროებითი „ადმინისტრაცია“. 2008 წლიდან იგი დევნილობაში, საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი;

„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი;

ცნობილაძე, პ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, 2004, თბილისი, გამომცემლობა: უნივერსალი;

ავტორთა კოლექტივი (რედ. გეგენავა, დ.): კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნიგნი 1. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“, თბილისი, 2018;

პაკტე, პ. ფერდინან მელენ-სუკრამანიანი.: კონსტიტუციური სამართალი, **Droit constitutionnel**: (სამეცნ. რედ. დემეტრ-აშვილი, ა.) მთარგმნელი: კალატოზიშვილი, გ. თბილისი, 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ხუბუა, გ.: ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000.

II. საქართველოს პარლამენტი

სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში საქართველოს პარლამენტის ადგილის გასარკვევად ფასდება არა მარტო მისი კომპეტენცია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი ურთიერთობა ხელისუფლების სხვა განშტოებებთან და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, მისი როლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპში. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებიდან მოყოლებული, იზრდება პარლამენტის როგორც საკანონმდებლო და მთავრობის მაკონტროლებელი, კონსტიტუციური ორგანოს როლი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში. დღემდე ცალსახად იკვეთებოდა ტენდენცია საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების კუთხით. 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედების შედეგად საქართველოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა კლასიკური საპარლამენტო ფორმა, რომელიც ამცირებს ერთპიროვნული ძალაუფლების საფრთხეს და ქმნის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას.

საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავი პარლამენტს ეძღვნება. იგი განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, სტატუსს, არჩევის წესს, პარლამენტის სტრუქტურის, გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებს, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს, საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსს და გარანტიებს.

1. საქართველოს პარლამენტის სტატუსი, არჩევისა და დათხოვნის წესი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტი-

ტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას. მისი ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი. საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან.

ხოლო, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, 2024 წლიდან პარლამენტის შემადგენლობა სხვაგვარი იქნება. იგი დაკომპლექტდება 4 წლის ვადით, ერთიან, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. შესაბამისად, ახალი ჩანაწერის მიხედვით, 2024 წლიდან საქართველოს პარლამენტში აღარ იქნებიან მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ დადგენილი წესით კენჭისყრის შედეგად, და კონსტიტუციის (56-ე მუხლის მე-4 პუნქტის) დადგენილი პროცე-

დურების ამონურვის შემდეგ, ვერ აირჩევს მთავრობის შემადგენლობას, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ვადის ამონურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

- პრემიერ-მინისტრის მიერ, პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხის დასმის შემდეგ, თუ დადგენილი წესით კენჭისყრის შედეგად და კონსტიტუციის (58-ე მუხლის მე-3 პუნქტით) დადგენილი პროცედურების შედეგად, პარლამენტი ვერ შეარჩევს (ნდობას არ გამოუცხადებს) მთავრობის სხვა შემადგენლობას, პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

2. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი და გარანტიები

საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განწვევა დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგენ და განთავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს მინისტრები (გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა), აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკე-

ბის მინისტრები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუნ-
ყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგ-
ილეები;

- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები;
- გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;
- სახელმწიფო რწმუნებულები და მათი მოადგილეები;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მერი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინის-
ტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოები-
სა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ოფიცრები;
- მოსამართლეები;
- საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველები;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი და მისი მოადგ-
ილეები;
- პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გა-
მომძიებლები;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და
საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მა-
რეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.

პარლამენტის წევრს იცავს **სადეპუტატო იმუნიტეტი**, რაც
იმას ნიშნავს რომ პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმ-
რება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხ-
რეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გარდა იმ
შემთხვევისა თუ მას დანაშაულზე წაასწრეს. ასეთ შემთხვევაში,
დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი
48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული
ან დაპატიმრებული დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუ-

ფლდეს. სადეპუტატო იმუნიტეტი ვრცელდება თანამდებობაზე
ყოფნის პერიოდში.

პარლამენტის წევრს გააჩნია **სადეპუტატო ინდემნიტეტი**,
რომლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენ-
ება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, რო-
გორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან და-
კავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება.
ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლე-
ბამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. გარდა ამისა, პარლამენ-
ტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრე-
ბა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის
გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. კონსტიტუციით
უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილება-
თა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის
წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს.
პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი
სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსა-
ფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხ-
ორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა დაუშვებელია და
ისჯება კანონით.

3. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა

**პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თა-
ნამდებობა საჯარო სამსახურში ან ენეოდეს სამენარმეო
საქმიანობას.** პარლამენტის წევრის სტატუსთან სამენარმეო
საქმიანობის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს პარ-
ლამენტის წევრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ
საკუთრების უფლებას. **იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს
და სხვა ქონებას.**

პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:

- უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ განახორციელოს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს / წევრის უფლებამოსილებანი;
- იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ორგანოში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. **პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას.** ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებაში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია იმავდროულად ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა პარტიულ ორგანიზაციაში.

4. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

საქართველო კონსტიტუცია ადგენს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს თვით პარლამენტი.

პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:

- პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- გარდაიცვალა;
- დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;
- ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

5. საქართველოს პარლამენტის მუშაობის წესი

საქართველოს პარლამენტი მუშაობს სასესიო წესით. პარლამენტი იკრიბება **მორიგ** ან **რიგგარეშე** სესიაზე. პარლამენტის სესია იგეგმება ორკვირიანი ციკლით. პირველი კვირა (გარდა ახალარჩეული პარლამენტის სხდომების პირველი კვირისა), ეთმობა პლენარულ სხდომებს და კომიტეტების მუშაობას, ხოლო მეორე კვირა – ამომრჩეველებთან შეხვედრებს და კომიტეტების მუშაობას.

პარლამენტი მორიგ სესიაზე საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, იკრიბება წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია

იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს. პარლამენტის სესია გახსნილად და დახურულად ცხადდება შესაბამისად პარლამენტის ბიუროს ან პლენარულ სხდომაზე. პარლამენტის მორიგი სესია ოფიციალურად მოწვევას არ საჭიროებს.

პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე იკრიბება მხოლოდ მორიგ სესიებს შორის პერიოდში. პარლამენტის რიგგარეშე სესია მოიწვევა საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან მთავრობის მოთხოვნით. პრეზიდენტი პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – **რიგგარეშე სხდომას**. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამონურვისთანავე. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას შეიძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის

ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. პარლამენტი გადაწყვეტილებებს ღია კენჭისყრით იღებს თუ კონსტიტუცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ფარულ კენჭისყრას არ ითვალისწინებს.

მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

6. საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციური სისტემა და თანამდებობის პირები

საქართველოს პარლამენტის შინაგან სტრუქტურას განსაზღვრავს კანონის ძალის მქონე აქტი - პარლამენტის რეგლამენტი. პარლამენტის ინსტიტუციური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- პარლამენტის თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები;
- პარლამენტის ბიურო;
- პარლამენტის კომიტეტები;
- ფრაქციები;
- უმრავლესობა და უმცირესობა;
- პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიები;
- პარლამენტის სხვა დროებითი კომისიები;
- ინტერფრაქციული ჯგუფი.

საქართველოს პარლამენტთან მოქმედებს სამი დაწესებულება: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება პარლამენტის აპარატს.

6.1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს**. იგი უძღვევა პარლამენტის მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარლამენტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, წარმოადგენს პარლამენტს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, თავმჯდომარეობს პარლამენტის პლენარულ სხდომებს, იწვევს და თავმჯდომარეობს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, განსაზღვრავს პარლამენტის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განსაზღვრული ვადით ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას, პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს გენერალური აუდიტორის კანდიდატურას და სხვა. პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის სასახლეში.

6.2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, პარლამენტის წევრთაგან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს **პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს**, მათ შორის, პირველ მოადგილეს. თითო მოადგილე

აირჩევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრთაგან, პარლამენტის ამ წევრთა უმრავლესობის წარდგინებით. პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს. გარდა ამისა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არა უმეტეს 3 კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს უმრავლესობას. ნიშანდობლივია, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თითო კანდიდატურის (მაგრამ არა უმეტეს 3-ისა), წარდგენის უფლება აქვთ იმ საარჩევნო სუბიექტების, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი გადალახეს, მიერ შექმნილ ფრაქციებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან უმრავლესობაში.

6.3. საქართველოს პარლამენტის ბიურო

პარლამენტის მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება **პარლამენტის ბიურო**. ბიუროს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები. პარლამენტის ბიუროს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

პარლამენტის ბიუროს სხდომები სასესიო პერიოდში იმართება, როგორც წესი, ყოველ ორშაბათს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში – საჭიროებისამებრ. პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომა თავისი ინიციატივით ან კომიტეტის, ფრაქციის, უმრავლესობის ან უმცირესობის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. პარლამენტის ბიუროს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარლამენტის ბიუროს სიითი

შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე ბიუროს წევრთა ხმების უმრავლესობით.

პარლამენტის ბიუროს მიზანია შეიმუშაოს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს პლენარული სხდომების კვირის დღის წესრიგის პროექტი. ამასთან, იგი ასევე უფლებამოსილია შეიმუშაოს პარლამენტის სესიის ორკვირიანი ციკლის სამუშაო გეგმა. გარდა ამისა, ბიურო: ა) განიხილავს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს; ბ) განიხილავს საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა არჩევისა და მათ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს; გ) ამტკიცებს კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დებულებებს; დ) წყვეტს ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის რეგისტრაციის საკითხებს და ა.შ.

6.4. საქართველოს პარლამენტის კომიტეტები

საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მთავრობის და სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში იქმნება **კომიტეტები**. კომიტეტებს პარლამენტი ქმნის საკუთარი უფლებამოსილების ვადით. კომიტეტების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის კომიტეტებია:

- აგრარულ საკითხთა;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის;

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა;
- ევროპასთან ინტეგრაციის;
- თავდაცვისა და უშიშროების;
- იურიდიულ საკითხთა;
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის;
- საგარეო ურთიერთობათა;
- საპროცედურო საკითხთა და წესების;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

ახალი კომიტეტის შექმნის საკითხის წამოყენების უფლება გააჩნიათ პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს, ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას.

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. კომიტეტის შემადგენლობაში უნდა იყოს არანაკლებ 10 პარლამენტის წევრი. კომიტეტი მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია კომიტეტის წევრთა მინიმალური რაოდენობის ორი მესამედი და არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

პარლამენტის კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის პლენარული სხდომისათვის ამზადებს საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;

- საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში განიხილავს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, აგრეთვე განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს და რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა პარლამენტი, და დასკვნებს გადასცემს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროსათვის წარსადგენად;
- განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;
- აკონტროლებს საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტს;
- ახორციელებს კონტროლს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტს;
- სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით და ა.შ.

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები და საქართველოს მთავრობის წევრები, კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან, კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

კომიტეტი საქმიანობას უძღვება კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

6.5. ფრაქცია

პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ **საპარლამენტო ფრაქციაში**. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენ-

ით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ფრაქცია არის პარლამენტის წევრთა გაერთიანება საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრაქციის პირადი, პროფესიული, ადგილობრივი, რეგიონული ან რელიგიური ნიშნით შექმნა აკრძალულია. ფრაქციის ამოცანებია: ა) გამოხატოს და გაატაროს საკუთარი პოლიტიკური კურსი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით; ბ) მონაწილეობა მიიღოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფაში; გ) გამოხატოს ფრაქციის შეჯერებული აზრი პარლამენტის უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას – კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას. ფრაქციას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამასთან, ფრაქცია უფლებამოსილია შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის ცალკეულ წევრებს. ისინი ვალდებული არიან, უპასუხონ შეკითხვას.

6.6. საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა

თუ ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარს, ფრაქცია იძენს **უმრავლესობის სტატუსს**. უმრავლესობის შექმნა შეუძლიათ ფრაქციებს და მათდამი მიმხრობილ პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, თუ გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარს.

უმცირესობა შეიძლება შეიქმნას უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში. თუ ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა რაოდენობის ნახევარს, ფრაქცია თავისი მოთხოვნის საფუძველზე იძენს უმცირესობის სტა-

ტუსს. უმცირესობის შექმნა შეუძლიათ ფრაქციებს და მათდამი მიმხრობილ პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, თუ გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა რაოდენობის ნახევარს.

უმრავლესობა და უმცირესობა უფლებამოსილებას იძენენ პარლამენტის ბიუროს მიერ მათი რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე – პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის მიერ რეგისტრაციის შემდეგ. უმრავლესობისა და უმცირესობის თანამდებობის პირები არიან: ა) უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები; ბ) უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების მოადგილეები; გ) უმრავლესობისა და უმცირესობის მდივნები.

6.7. დროებითი საგამოძიებო კომისია

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის თაობაზე; რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის დასმის უფლება გააჩნიათ: პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს. წერილობითი წარდგინება გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს კენჭს უყრის პლენარულ სხ-

დომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ პარლამენტი მხარს დაუჭერს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, იგი გადაწყვეტილებაში მიუთითებს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველს, გამოსაკვლევ საკითხთა წრეს, კომისიის უფლებამოსილების ვადას (კომისიის საქმიანობის ვადაა არა უმეტეს 3 თვე, რაც შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, თუმცა კომისიის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს) და წევრთა რაოდენობას.

დროებით საგამოძიებო კომისიაში უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარს. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის უფლებამოსილების ვადით.

დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა. დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინონ საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. აგრეთვე, დროებითი საგამოძიებო კომისია უფლებამოსილია წერილობით მოითხოვოს და საქართველოს მთავარი პროკურორის ნებართვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ადგილზე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს, ასევე გამოძიების არდაწყების შესახებ არსებულ მასალებს, თუ კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში ან მასალებში მოიპოვება მის მიერ განსახილველი საკითხის გამოკვლევისათვის საჭირო მონაცემები.

დროებითი საგამოძიებო კომისია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავებს დასკვნას. ასეთი დასკვნა ან მის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარედგინება პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიურო ვალ-

დებულება საკითხი შეიტანოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. კომისიის ან ფრაქციის მოთხოვნის შემთხვევაში პარლამენტი იღებს დადგენილებას დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის (გადაწყვეტილების პროექტის) თაობაზე.

დროებითი საგამოძიებო კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე ყველა დროებით საგამოძიებო კომისიას უწყდება უფლებამოსილება. ისინი ვალდებული არიან, აღნიშნულ დრომდე წარმოადგინონ განუხლები საქმიანობის ანგარიშები.

6.8. სხვა დროებითი კომისია

სხვა დროებითი კომისია არის პარლამენტის დროებითი ორგანო, რომელიც იქმნება პარლამენტის გადაწყვეტილებით. იგი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. დროებითი კომისია იქმნება:

- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით;
- პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, თუ საქმე შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად.

დროებითი კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით წარადგინონ კომისიის მუშაობისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

დროებითი კომისიის შექმნის მიზნით პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვს, სათანადო წერილო-

ბითი დასაბუთების წარდგენით დასვას დროებითი კომისიის შექმნის საკითხი. წერილობითი წარდგინება გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. პარლამენტი დროებითი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს კენჭს უყრის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მეოთხედისა. პარლამენტის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს დროებითი კომისიის შექმნის საფუძველი, გამოსაკვლევ საკითხთა წრე და კომისიის წევრთა რაოდენობა. დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციებში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. დროებით კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

თუ დროებითი კომისია იქმნება პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად, მისი უფლებამოსილების ვადაა 3 თვე. იგი შესაძლებელია გაგრძელდეს კიდევ 3 თვით.

დროებითი კომისიის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარედგინება პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიუროს საკითხი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. დროებითი კომისია ვალდებულია პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე წარადგინოს განუხლები საქმიანობის ანგარიში.

6.9. ინტერფრაქციული ჯგუფი

პარლამენტში კანონპროექტის ან სხვა საკითხის მომზადებისას ან განხილვისას წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრისა და ცალკეულ დებულებათა დაკონკრეტება-შე-

ჯერების მიზნით ფრაქციებთან კონსულტაციის საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი. იგი უფლებამოსილია კანონპროექტის ან სხვა საკითხის თაობაზე საკუთარი მოსაზრებით ან წინადადებით მიმართოს პარლამენტის თავმჯდომარეს და პარლამენტის ბიუროს.

7. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები

საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური კომპეტენციაა საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, მთავრობის საქმიანობისთვის კონტროლის განწესება. ამ უფლებამოსილებების რეალიზაციის წესი და ფარგლები მოცემულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. პარლამენტის კომპეტენცია სფეროების საფუძველზე შესაძლებელია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- საკანონმდებლო უფლებამოსილებები;
- უფლებამოსილებები კონტროლის სფეროში;
- უფლებამოსილებები საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში;
- უფლებამოსილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში;
- თანამდებობის პირთა არჩევისა და დანიშვნის კომპეტენცია;
- უფლებამოსილებები სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში;
- თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის უფლებამოსილება;
- საგამოძიებო უფლებამოსილებები;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის კომპეტენცია;
- რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ მოთხოვნის წამოყენების უფლებამოსილება;
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილება.

7.1. საკანონმდებლო უფლებამოსილებები

საქართველოს პარლამენტი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. მხოლოდ პარლამენტი არის უფლებამოსილი მიიღოს საქართველოს საკანონმდებლო აქტი, მასში შეიტანოს ცვლილები, იგი გამოაცხადოს ძალადაკარგულად. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში არსებობს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სხვა ფორმებიც.

7.1.1. საკანონმდებლო პროცესი

საკანონმდებლო აქტების მიღება საკანონმდებლო პროცესის ფარგლებში ხორციელდება. საკანონმდებლო პროცესი საკუთარი შინაარსით არ არის ისეთი ფართო როგორც სამართალშემოქმედებითი (მათ შორის კანონშემოქმედებითი) პროცესი. იგი არის სამართალშემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი განზომილება, ფუნდამენტური ნაწილი. საკანონმდებლო პროცესი სხვადასხვა ეტაპისგან შედგება:

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა;
- პარლამენტის მიერ საკანონმდებლო აქტის პროექტის განხილვა;
- პარლამენტის მიერ საკანონმდებლო აქტის მიღება;
- საკანონმდებლო აქტის პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერად გადაგზავნა;
- საკანონმდებლო აქტზე საქართველოს პრეზიდენტის ხელის მოწერა;
- საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნება.

საკანონმდებლო პროცესის ერთ-ერთი ელემენტია საქართველოს პრეზიდენტის უფლება გამოთქვას მოტივირებული

შენიშვნები საკანონმდებლო აქტის პროექტთან დაკავშირებით (შემაფერხებელი ვეტოს დადება) და იგი ხელახალი განხილვისთვის პარლამენტს დაუბრუნოს.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით **საკანონმდებლო ინიციატივის უფლება** გააჩნიათ:

- საქართველოს მთავრობას;
- პარლამენტის წევრს (იგულისხმება პარლამენტის თავმჯდომარეც);
- საპარლამენტო ფრაქციას;
- პარლამენტის კომიტეტს;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს;
- არანაკლებ 25000 ამომრჩეველს.

საქართველოს პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ აქვს. გარდა ამისა, მთავრობის ცალკე აღებულ რომელიმე წევრს (პრემიერ-მინისტრს თუ მინისტრს) არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ გააჩნიათ მუნიციპალურ ორგანოებს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტი საკანონმდებლო აქტის პროექტს თვითონ ამზადებს. თუმცა, მას უფლება აქვს მისი მომზადება დაუკვეთოს სხვა პირს (როგორც ფიზიკურს, აგრეთვე იურიდიულს).

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი საკანონმდებლო აქტის პროექტი **განხილვისას** გადის სხვადასხვა პროცედურებს.

საკანონმდებლო აქტის პროექტი რეგისტრაციისათვის გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს. იგი საკანონმდებლო აქტის პროექტს სამართლებრივი და ფინანსური ექსპერტიზისათვის გადასცემს პარლამენტის

აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად. ამის შემდეგ საკანონმდებლო აქტის პროექტს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნებთან ერთად საორგანიზაციო დეპარტამენტი გადასცემს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას საკანონმდებლო აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და მას გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას (თუ საკანონმდებლო აქტის პროექტი ინიციატივის უფლების მქონე სხვა პირის მიერ არის წარდგენილი). საფინანსო სექტორის წარმომადგენლის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტი გადაეცემა ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საკანონმდებლო აქტის პროექტი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) განიხილება და მიიღება სამი მოსმენით. **პირველ მოსმენაზე** განიხილება მისი ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, **მეორე მოსმენაზე** - ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით, ხოლო **მესამე მოსმენაზე** მასში შესაძლებელია განხორციელდეს რედაქციული ცვლილებები.

წამყვანი კომიტეტი საკანონმდებლო აქტის პროექტს, მისი მიღებიდან არაუადრეს 3 დღისა და არაუგვიანეს 5 კვირისა განიხილავს კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს: პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად. კომიტეტის მიერ კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას.

წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მიერ განხილვის შემდეგ საკანონმდებლო აქტის პროექტი შესაბამისი

დასკვნებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პირველი მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

საკანონმდებლო აქტის პროექტის პირველი მოსმენის დასრულების შემდეგ პარლამენტი კენჭისყრით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანყვეტილებას:

- საკანონმდებლო აქტის პროექტის პირველი მოსმენით მიღების შესახებ;
- გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.

კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას, უარყოფილად ითვლება და ფორმდება პარლამენტის დადგენილება კანონპროექტის უარყოფის შესახებ. პირველი მოსმენით განხილვისას უარყოფილი კანონპროექტის იმავე სესიაზე განმეორებით გატანა დასაშვებია, თუ იგი არსებითად გადამუშავდა, რაზედაც დასკვნას წარადგენს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ საკანონმდებლო აქტის პროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნების ასახვისათვის და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად. პირველი მოსმენით მიღებიდან 3 კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი საკანონმდებლო აქტის პროექტს განიხილავს მისი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად, ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით. წამყვანი კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

კანონპროექტის მეორე მოსმენის დასრულების შემდეგ პარლამენტი კენჭისყრით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანყვეტილებას:

- კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შესახებ;
- დამატებითი დამუშავებისათვის კანონპროექტის წამყვან კომიტეტში დაბრუნების შესახებ.

კანონპროექტი, რომელიც მეორე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას, ჩავარდნილად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მეორე მოსმენით მიუღებლობის შესახებ.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად. მეორე მოსმენით მიღებიდან 5 დღის ვადაში წამყვანი კომიტეტი პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით განხილვისას გათვალისწინებულ შენიშვნებს ასახავს საკანონმდებლო აქტის პროექტში და გადასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის შემდეგ საკანონმდებლო აქტის პროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი, დგება კენჭისყრაზე საბოლოო რედაქციით მისაღებად.

საკანონმდებლო აქტის პროექტის მიღებისთვის მისი სამართლებრივი რანგიდან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია ხმათა სხვადასხვა რაოდენობა:

- **კონსტიტუციური კანონის** მიღების ორი მექანიზმი არსებობს. 1. პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი და მომდევნო მოწვევის პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მომდევნო მოწვევის პარლამენტი მას ერთი მოსმენით

განიხილავს. 2. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი, ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტი არ საჭიროებს შემდეგი მოწვევის პარლამენტის მიერ განხილვასა და მიღებას. საქართველოს კონსტიტუცია სპეციალურ დათქმას აკეთებს იმ კონსტიტუციური კანონის მიღებასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ასეთი კონსტიტუციური კანონი მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, შემდგომი მოწვევის პარლამენტის დამტკიცების გარეშე.

- **ორგანული კანონი** მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში მიიღება. იგი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გამონაკლისია ორგანული კანონი, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის ან უცხოური იურიდიული პირის საკუთრების უფლებას. ასეთი ორგანული კანონი მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.
- **კანონი** მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. გამონაკლისია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, რომელსაც პარლამენტი იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საკანონმდებლო აქტის პროექტის სამივე მოსმენაზე მისი მიღებისთვის აუცილებელია ხმათა სულ მცირე ის რაოდენობა, რომელიც ზემოთ არის ნახსენები.

პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი 10 დღის ვადაში **გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს**. პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში **ხელს აწერს და აქვეყნებს საკანონმდებლო**

აქტს. საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს **ვეტოს უფლება** და საკანონმდებლო აქტი **მოტივირებული შენიშვნებით** უკან გადაუგზავნოს პარლამენტს. გამონაკლისია კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი მას ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე.

პარლამენტს შეუძლია დაეთანხმოს შენიშვნებს ან გადალახოს პრეზიდენტის ვეტო. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ რანგის საკანონმდებლო აქტის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. გამონაკლისია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, მის მიმართ პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შენიშვნების გაზიარება დასაშვებია მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

თუ შენიშვნები მიღებულია, საკანონმდებლო აქტის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

თუ პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება საკანონმდებლო აქტის პირვანდელ რედაქციას. ორგანული კანონი ან კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გამონაკლისია ორგანული კანონი, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის ან უცხოური იურიდიული პირის საკუთრების უფლებას. ასეთ ორგანულ კანონზე ვეტო დაძლეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ვეტო დადებული კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

იმ შემთხვევაში თუ ვეტო პარლამენტმა გადალახა, საკანონმდებლო აქტი 3 დღის ვადაში ხელმოსაწერად გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს საკანონმდებლო აქტს და დადგენილ ვადაში მას არ გამოაქვეყნებს, ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო აქტს ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე და თვითონვე აქვეყნებს მას.

საქართველოს პარლამენტს შეუძლია საკანონმდებლო აქტის პროექტი განიხილოს და მიიღოს **დაჩქარებული წესით**. მისი დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომებზე, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში. პლენარული სხდომის ერთ დღეს, პროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია, მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.

საკანონმდებლო აქტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო საკანონმდებლო აქტის პროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე. თუკი პარლამენტის ბიურო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, ამ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა.

საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა და მიღება დაჩქარებული წესით დაუშვებელია. დაჩქარებული წესით საკანონმდებლო აქტის პროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების/დამატებების შეტანას.

7.1.2. საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღე-

ბის, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. მისი წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს.

საკანონმდებლო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს კანონპროექტის ან/და მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით. გარდა ამისა, საკანონმდებლო წინადადება უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისეულ დასაბუთებას. საკანონმდებლო წინადადებაში მითითებული უნდა იყოს ცვლილების მიზეზი და არსი, აგრეთვე ავტორის ხელმოწერა, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

საკანონმდებლო წინადადება წარედგინება პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას. პარლამენტის ბიურო საკანონმდებლო წინადადებას გადასცემს წამყვან კომიტეტს (საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე სხვა კომიტეტს), რომელიც მას განიხილავს მისთვის გადაცემიდან 30 დღეში. თუ საკანონმდებლო წინადადების აღნიშნულ ვადაში განხილვა ვერ მოხერხდა, მისი განხილვის ვადა შეიძლება წამყვანი კომიტეტის მოთხოვნით გააგრძელოს პარლამენტის ბიურომ არაუმეტეს 30 დღით. თუკი საკანონმდებლო წინადადება სხვა კომიტეტს გადაეცა, იგი საკანონმდებლო წინადადების გადაცემიდან არაუგვიანეს 20 დღისა წამყვან კომიტეტს წარუდგენს საკანონმდებლო წინადადების თაობაზე დასკვნას.

კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადების განხილვისას შესაძლებელია მოწვეულ იქნეს მისი ავტორი. კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადებას განსახილველად წარადგენს სხდომის თავმჯდომარე.

საკომიტეტო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ცნობილ

იქნეს მიღებულად ან უარყოფილად. საკანონმდებლო წინადადების თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს პარლამენტის ბიუროს.

იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და გადასცემს ბიუროს. თუკი საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია კანონპროექტის სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის ბიუროს. საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი.

7.1.3. განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურა

საქართველოს პარლამენტი განსახილველი საკანონმდებლო აქტის სამართლებრივი რანგიდან, შინაარსიდან გამომდინარე, მას სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში განიხილავს. პარლამენტში ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის პროექტის განხილვისა და მიღებისთვის დადგენილია განსაკუთრებული ანუ რეგულარული წესისგან განსხვავებული პროცედურები.

განსხვავებული საკანონმდებლო პროცედურები გამოიყენება:

- საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას (იხილეთ წინამდებარე ნაშრომის IX თავი);
- სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის განხილვისას და მიღებისას (იხილეთ ამ ნაშრომის VII თავი);
- საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე კანონის პროექტის, აგრეთვე იმ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც შეეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან

ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილების განხილვისას და მიღებისას;

- საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ ორგანული კანონის პროექტის განხილვისას და მიღებისას;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცებისას.

ა) საკანონმდებლო აქტის პროექტის გამარტივებული წესით განხილვა და მიღება

საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე კანონის პროექტი და აგრეთვე იმ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც შეეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას, პარლამენტის სხდომაზე განიხილება და მიიღება გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

ბ) საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ ორგანული კანონის პროექტებს განხილვამდე პარლამენტი აქვეყნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, თუ ეს პროექტები ეხება გერბისა და დროშის აღწერილობას, ან ჰიმნის ტექსტსა და მუსიკას.

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება და გადასინჯება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი ძალაში შედის მისი დამტკიცების თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე.

კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლება გააჩნიათ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება უმაღლეს საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. უმაღლეს საბჭოში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან სამი კვირის შემდეგ.

კონსტიტუციურ კანონს, დამტკიცებისათვის საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას პარლამენტი ამტკიცებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ერთი მოსმენით განხილვისა და მიღების გზით. ეს ორგანული კანონიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

თუ პარლამენტი არ მიიღებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, მიიღება პარლამენტის დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების თაობაზე“. ეს დადგენილება მიიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თუკი მთლიანად გაითვალისწინებს პარლამენტის მიერ გამოთქმულ

შენიშვნებს, იგი პარლამენტს განმეორებით წარუდგენს საქართველოს ორგანული კანონის პროექტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სრულად არ გაითვალისწინებს პარლამენტის დადგენილებაში მოცემულ შენიშვნებს, შეიქმნება შემთანხმებელი კომისია საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 7-7 წევრის მონაწილეობით, რომელიც პარლამენტის შენიშვნების გათვალისწინებით შეიმუშავებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტებს და წარუდგენს პარლამენტს.

პარლამენტი ერთი მოსმენით განიხილავს შეთანხმებულ ტექსტებს და იღებს დადგენილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებული ტექსტების საფუძველად მიღების და მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემის შესახებ“. ეს დადგენილება მიიღებიდან 3 დღის ვადაში, შემუშავებულ ტექსტებთან ერთად ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. დადგენილების მიღებიდან 3 კვირის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განიხილავს და კენჭს უყრის შეთანხმებულ ტექსტს და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში პარლამენტს წარუდგენს საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. ისინი პარლამენტის მიერ მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით და ხელმოსაწერად ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს საქართველოს ორგანულ კანონს „აჭარის ავტონომი-

ური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს როგორც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებისთვის საჭიროა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თანხმობა. თუ თანხმობა არ იქნა გამოხატული, კვლავ იქმნება შემთანხმებელი კომისია, რომელსაც დაეკისრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტის შემუშავების ვალდებულება.

ნიშანდობლივია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი განიხილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცებისთვის დადგენილი წესით.

7.1.4. საქართველოს პარლამენტის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სხვა ფორმები

საქართველოს პარლამენტის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი კომპონენტია კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცება. კონსტიტუციური შეთანხმება იდება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. საქართველოს სახელით მას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ეკლესიის - სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ

პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში. კონსტიტუციური შეთანხმება ასევე უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

პარლამენტის გადანყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი.

საქართველოს პარლამენტის სხვა გადანყვეტილება (იგულისხმება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც არ უკავშირდება საკანონმდებლო აქტის მიღებას, ან ნორმატიული აქტის დამტკიცებას) მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადანყვეტილების მიღების სხვა წესი.

7.2. უფლებამოსილებები კონტროლის სფეროში

საქართველოს პარლამენტის უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი. საპარლამენტო კონტროლის არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლს, არამედ აგრეთვე სხვადასხვა აღმასრულებელი ორგანოების, თანამდებობის პირების, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ინსტიტუტების საქმიანობაზე ზედამხედველობას. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების მიზანია სახელმწიფო ორგანოებს შორის ინსტიტუციური ბალანსის, ურთიერთშეკავების უზრუნველყოფა.

7.2.1. საქართველოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება

პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას როგორც კოლექტიურ ინსტიტუტს უნდობლობა გამოუცხადოს. საქართველოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება გულისხმობს მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას და იწვევს საქართველოს მთავრობის არსებული შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. უნდობლობის გამოცხადება შემდეგნაირად ხორციელდება:

- **უნდობლობის საკითხის აღძვრა** შეუძლია პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.
- თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა **სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება**. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.
- თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, **დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა**.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ უნდობლობის გამოცხადების პროცედურა გამარტივდა და პრაქტიკაში რეალიზებადი გახდა.

7.2.2. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტის საქმიანობის კონტროლი

მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განეული საქმიანობის ანგარიში.

7.2.3. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს:

- მთავრობას;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს;
- მთავრობის წევრს;
- ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს;
- სახელმწიფო დაწესებულებას.

პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდეკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს:

- მთავრობას;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს;
- მთავრობის წევრს,

ინტერპელაციის ადრესატი ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

7.2.4. თანხმობის გაცემა ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერებაზე ან დათხოვნაზე

საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტს (პრეზიდენტი თანხმობას ითხოვს საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით) თანხმობას აძლევს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერებაზე ან დათხოვნაზე თუ ამ ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.

7.2.5. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის კონტროლი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. იგი წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

7.2.6. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის კონტროლი

საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს.

7.2.7. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა

საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე წელიწადში ერთხელ – სპეციალურ მოხსენებას, რომელთა განხილვის საფუძველზედაც პარლამენტი იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას. პარლამენტის დადგენილება შეიცავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შეფასებას, აგრეთვე პარლამენტის რეკომენდაციებს და მათი შესრულების მონიტორინგის ვადებს.

7.2.8. პარლამენტის მიერ მიღებული და აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი

საქართველოს პარლამენტი აკონტროლებს საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას, ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშეშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია მიიღოს დადგენილება, რომელშიც ასახული იქნება პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილების შეტანის რეკომენდაციით (დავალებით).

პარლამენტი ამ ფუნქციას საკუთარი კომიტეტების მიერ ახორციელებს. კომიტეტი თავისი დარგობრივი კომპეტენცი-

ის ფარგლებში აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას და სამინისტროს, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

7.3. უფლებამოსილებები საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში

საქართველოს პარლამენტი არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც გააჩნია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება. ამასთან იგი კონტროლს უწევს მის შესრულებას.

სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს კანონის სახით ყოველწლიურად იღებს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის უფლებამოსილება კონსტიტუციით მხოლოდ მთავრობას გააჩნია. თუმცა, ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე მთავრობა პარლამენტის კომიტეტებთან განიხილავს ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და მონაცემებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტს წარედგინება მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. მასთან ერთად მთავრობამ პარლამენტს ასევე უნდა წარუდგინოს მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

მთავრობის თანხმობის გარეშე პარლამენტს არ შეუძლია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანა. ამასთან, მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია მთავრობისგან პარლამენტის ფინანსური დამოუკიდებლობა, რაც განამტკიცებს პარლამენტის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ავტონომიურობას, მთავრობის კონტროლის მექანიზმებს.

სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის განკუთვნილი მიმდინარე სახსრების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და შესრულების კონტროლის უფლებამოსილების გარდა ფლობს საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავების, რევიზიის, მიღების, გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურის, შემოღების, მათი ოდენობის, განაკვეთების განსაზღვრის კომპეტენციას.

7.4. უფლებამოსილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში

საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელების კონტროლი.

პარლამენტი გარკვეული ფორმით მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესშიც. იგი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას. საერთაშორისო ხელშეკრულება პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი ან პირიქით, საქართველოსთვის კარგავს იურიდიულ ძალას. ნიშანდობლივია, რომ პარლამენტი არ ახორციელებს ყველა ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას. მის მიერ დამტკიცებას ექვემდებარება საერთაშო-

რისო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შესვლისთვის თავ-ადვე შეიცავს რატიფიცირების შესახებ დათქმას. გარდა ამისა, კონსტიტუციის მიხედვით რატიფიცირებას ყველა შემთხვევაში საჭიროებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც:

- ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
- სამხედრო ხასიათისაა;
- ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას (ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას პარლამენტი ახორციელებს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით);
- დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან;
- მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

პარლამენტს გადაეცემა ის საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, რომლებიც რატიფიკაციას არ ექვემდებარება. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალდებული არიან, იმ საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) დადების შესახებ, რომელიც რატიფიცირებას არ საჭიროებს, პარლამენტს აცნობონ მისი დადებიდან 1 თვის ვადაში. ამ ინფორმაციას პარლამენტი ცნობად იღებს, ან იგი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

საგარეო პოლიტიკის სფეროში საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა პოზიციის გამოხატვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ქმედებასთან მიმართებაში. პარლამენტის პოზიციის დაფიქსირება ხდება რეზოლუციის მიღებით.

პარლამენტი უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან და საერთაშორისო საპარლამენტო საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან დადოს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ. საგარეო ურთიერთობებში პარლამენტის უმაღლესი წარმომადგენელია პარლამენტის თავმჯდომარე. ოფიციალურ საპარლამენტო დელეგაციებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე ან პარლამენტის წევრი.

7.5. თანამდებობის პირთა არჩევისა და დანიშვნის კომპეტენცია

საქართველოს კონსტიტუცია ცალკეული თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის ან ამ პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილებას პარლამენტს ანიჭებს. საქართველოს პარლამენტი:

- მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტის არჩევის მიზნით შექმნილ საარჩევნო კოლეგიაში;
- საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს 7 წლის ვადით;
- პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით 5 წლის ვადით ირჩევს გენერალურ აუდიტორს;
- საპროკურორო საბჭოს წარდგინებით 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს გენერალურ პროკურორს;
- სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს 4 წლის ვადით;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უზენაესი სა-

სამართლოს მოსამართლეებს უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

- უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;
- სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს;
- სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედის უმრავლესობით 6 წლის ვადით ირჩევს საქართველოს სახალხო დამცველს.

კანონმდებლობით შესაძლებელია პარლამენტს მიენიჭოს ზემოხსენებულის გარდა სხვა თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის კომპეტენციაც.

7.6. უფლებამოსილებები სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებას ექვემდებარება საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები და ასეთი მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტები. ამ გადაწყვეტილებებს, დეკრეტებს საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს შეკრებისთანავე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ იგი ამ გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, გადაწყვეტილება, დეკრეტი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა ზავის დადების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებაც.

საქართველოს პარლამენტის მნიშვნელოვანი კომპეტენციაა საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებაც. ეს გად-

აწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაც ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებას. იგი ძალაში შედის პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნების ჩატარებას. თუმცა, თუ საგანგებო მდგომარეობა შემოღებულია ქვეყნის რომელიმე ნაწილში, საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება.

7.7. თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის უფლებამოსილება

იმპიჩმენტი არის საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კონსტიტუციის დარღვევისას ან/და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დგება განსაზღვრული თანამდებობის პირების იურიდიული პასუხისმგებლობა.

იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია შემდეგი თანამდებობის პირების:

- საქართველოს პრეზიდენტის;
- მთავრობის წევრის;

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, მათ შორის თავმჯდომარის;
- გენერალური პროკურორის;
- გენერალური აუდიტორის;
- ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ხსენებული თანამდებობის პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს (50 დეპუტატს). პარლამენტის მიერ საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და დასკვნას ამზადებს 1 თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტში 15 დღის ვადაში კენჭი ეყრება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი (სულ მცირე 100 დეპუტატი).

მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (სულ მცირე 76 დეპუტატი).

თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და არც მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან პარლამენტმა 2 კვირის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, ამ თანამ-

დებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა წყდება. იგივე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

7.8. საგამოძიებო უფლებამოსილებები

პარლამენტის საგამოძიებო უფლებამოსილებები პარლამენტის მაკონტროლებელი არსის შესაბამისად უნდა იქნეს გააზრებული. იგი არ უნდა იქნეს გაიგივებული პროკურორისა და გამომძიებლის ფუნქციებთან.

საქართველოს პარლამენტი საგამოძიებო უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საგამოძიებო კომისიებისა და სხვა დროებითი კომისიების მეშვეობით.

დროებითი საგამოძიებო კომისია შესაძლოა შეიქმნას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის თაობაზე; რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, შესაძლებელია პარლამენტის ფარგლებში შეიქმნას დროებითი კომისია პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, თუ საქმე შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად.

ასეთი კომისიების მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

7.9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის კომპეტენცია

საქართველოს პარლამენტს ან პარლამენტის ცალკეულ წევრებს უფლება აქვთ კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:

- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;
- პარლამენტის სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის, ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის, ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას.

7.10. რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ მოთხოვნის წამოყენების უფლებამოსილება

საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

პარლამენტში რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის საკითხის დასმა შეუძლია პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, შესაბამისი ხელმოწერებით დადასტურებული წერილობითი ფორმით. იგი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება მისი დასმიდან არა უგვიანეს 20 დღისა. პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს მიმართვას რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნის შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

7.11. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამართვას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტი ცესკოს მეშვეობით. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია ან არჩევნები არ შედგა, საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი.

შაიო, ა.: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, გამომცემლობა: სეზანი.

ავტორთა კოლექტივი (რედ. გეგენავა, დ.) კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნიგნი 1. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“, თბილისი, 2018;

პაკტი, პ. ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, *Droit constitutionnel*: (სამეცნ. რედ. დემეტრაშვილი, ა.) მთარგმნელი: კალატოზიშვილი, გ. თბილისი, 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ბეჟაშვილი, ლ. საკანონმდებლო ტექნიკა, სამართალშემოქმედების მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი, 2012, გამომცემლობა: სეზანი.

ავტორთა კოლექტივი, (რედ. ხუბუა, გ.) როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2002.

III. საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტს განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი გააჩნია. იგი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის ამგვარი სტატუსისა, მნიშვნელოვანია მისი კონსტიტუციური როლისა და ფუნქციების მართებულად, კონსტიტუციასთან თავსებადად აღქმა. საქართველოს პრეზიდენტი არ განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და არც ახორციელებს. პრეზიდენტი აგრეთვე არ მიეკუთვნება აღმასრულებელ ხელისუფლებას, შესაბამისად, იგი მისი განხორციელების პროცესში არ მონაწილეობს. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია არა პრეზიდენტის, არამედ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი არ ფლობს საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლის ბერკეტებს. ამგვარი კონსტიტუციური ინფრასტრუქტურა საპარლამენტო მმართველობის მოდელებისთვის არის დამახასიათებელი.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია საქართველოს პრეზიდენტის არჩევისა და იმპიჩმენტის წესი, უფლებამოსილებები, სამართლებრივი აქტების სახეები და ძალაში შესვლის წესი.

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი

კონსტიტუციის თანახმად 2024 წლამდე საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს

ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. თუ პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო 50%-ს პლუს 1 (ნახევარზე მეტი) ხმა, ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

2024 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი სხვაგვარი იქნება. **კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით, ღია კენჭისყრით, დებატების გარეშე აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შევა 300 წევრი**, მათ შორის - საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგია, დანარჩენი წევრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებიდან დაკომპლექტდება. ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოების შემადგენლობიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, კანონით განსაზღვრული კვოტის მიხედვით, დასახელდება კოლეგიის წევრობის შესაბამისი რაოდენობა თითოეული მუნიციპალიტეტიდან. აღნიშნული კვოტა განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით და თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით.

საარჩევნო კოლეგიის ფარგლებში პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს **საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც**. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. აუცილებელია, რომ არჩევნებში (პირველ და მეორე

ტურში) მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო კოლეგიის, სრული შემადგენლობის სულ მცირე ნახევარზე მეტმა.

თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

2024 წლიდან მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში, **პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც**.

2. საქართველოს პრეზიდენტის იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა

საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. **საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი**. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

3. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები

საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლების შტოებს შორის ნეიტრალური „არბიტრის“ როლს ასრულებს. შესაბამისად, მას ეკრძალება არა მხოლოდ პარტიული თანამდებობის დაკავება, არამედ პოლიტიკური პარტიის წევრობაც. აღნიშნული დათქმა მიზნად ისახავს პრეზიდენტის ზეპარტიული სტატუსის უზრუნველყოფას.

მისი უფლებამოსილებები შემდეგნაირად ჯგუფდება:

(1) **პრეზიდენტის უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებში:** მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, ასევე მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

(2) **პრეზიდენტის უფლებამოსილებები მთავრობის მიმართ:** სიმბოლურად მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი პარლამენტს წარუდგენს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ კანდიდატურას და მისი პარლამენტის მიერ არჩევის შემთხვევაში, ფორმალურად ნიშნავს მას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

(3) **პრეზიდენტის უფლებამოსილებები პარლამენტის მიმართ:** წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. იგი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს, აქვს შემაფერხებელი ვეტოს უფლება. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით ან მთავრობის წარდგინებით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას ან სხდომას. კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრულ პირობებში პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

(4) **პრეზიდენტის უფლებამოსილებები თავდაცვისა და ანტიკრიზისულ სფეროში:** საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად

თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ასევე სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ჩამოთვლილ შემთხვევებში პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძალაში შედის, მხოლოდ პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს; მნიშვნელოვანია, რომ **საქართველოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს სათათბირო ორგანოს - თავდაცვის საბჭოს**, რომელიც იქმნება საომარი მდგომარეობის დროს.

(5) **თანამდებობის პირთა დანიშვნის, გათავისუფლების და პარლამენტისათვის წარდგენის უფლებამოსილება:** ნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წევრს. იგი მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს, არსებულ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებულ მინისტრების კანდიდატურებს; საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების კანდიდატურებს. საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული საბჭოს შემადგენლობიდან და მათივე წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

(6) პრეზიდენტი უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებით, პარლამენტის თანხმობით **შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა**, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.

(7) **საქართველოს პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებებია:** შეინყალოს მსჯავრდებულები, გადაწყვიტოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხები, მიანიჭოს ჯილდოები და წოდებები, ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს კანონები, სახელმწიფოს სახელით დადოს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან; მთავრობის კონტრასიგნაციით დანიშნოს მორიგი არჩევნები, წარდგინებით მიმართოს **საკონსტიტუციო სასამართლოს, დანიშნოს არჩევნები და რეფერენდუმი.**

4. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და მათი კონტრასიგნაციის წესი

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტებია: ბრძანებულება, ბრძანება, განკარგულება და დეკრეტი.

ბრძანებულება - ნორმატიული აქტია, გამონაკლისია ბრძანებულება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება.

ბრძანება - საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გამოცემს ბრძანებას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული აქტი, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

განკარგულება - საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტია.

დეკრეტი - ორგანული კანონის ძალის მქონე აქტია, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. დეკრეტი მოქმედებს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. იგი დასამტკიცებლად დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას.

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისათვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის თანახელმონერა (კონტრასიგნაცია). ამგვარი სამართლებრივი აქტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმონერის შემდეგ. თანახელმონერილ სამართლებრივ აქტზე, კი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ზუსტ ჩამონათვალს თუ პრეზიდენტის რომელი სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერას. ასეთი სამართლებრივი აქტია, რომელიც უკავშირდება:

- პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სესიის ან სხდომის მოწვევას;
- კონსტიტუციური შეთანხმების დადებას;
- კანონის ხელმონერას და გამოქვეყნებას, პარლამენტისთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას;
- პრემიერ-მინისტრის დანიშვნას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნას; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე

განწესებას; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას;

- სახელმწიფო ფილდოებისა და პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებას;
- მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტას;
- მსჯავრდებულთა შეწყალებას;
- საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ან სასამართლოსათვის მიმართვას;
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას.

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც კონტრასიგნაციას საჭიროებს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა გადაეცემა პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის. პრემიერ-მინისტრს გადაეცემული სამართლებრივი აქტი 10 დღის ვადაში გააქვს მთავრობის სხდომაზე განსახილველად. თუ მთავრობა თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით მოიწონებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრემიერ-მინისტრი ხელს აწერს მას, რითაც კონტრასიგნაცია დასრულებულად ჩაითვლება.

თუ საქართველოს მთავრობა არ მოიწონებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, რომელიც პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის გადაეცა, მთავრობა მოამზადებს მოტივირებულ შენიშვნებს, რომლებსაც პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტს გადასცემს 10 დღის ვადაში (საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტთან ერთად). საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია მომდევნო 10 დღის ვადაში მთავრობის შენიშვნების შესაბამისად, ცვლილება შეიტანოს თავის სამართლებრივ აქტში და ამ სახით ხელახლა გადასცეს იგი პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის, რის შემდეგაც მეორდება ზემოთ ხსენებული პროცედურა. იმ შემთხვევაში თუ მთავრობა კვლავ არ მოიწონებს საქართველოს პრეზიდენტ-

ის სამართლებრივ აქტს, საქართველოს პრეზიდენტს აღარ შეუძლია გადასცეს პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის იმავე შინაარსის სამართლებრივი აქტი მისი განმეორებით უარყოფიდან 6 თვის ვადაში.

5. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესი

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით არის შესაძლებელი. მისი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, როდესაც იგი დაარღვევს კონსტიტუციას ან მის ქმედებაში იქნება დანაშაულის ნიშნები. ნიშანდობლივია, რომ დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა სამი ეტაპისგან შედგება:

- **იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა** - კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს (სულ მცირე 50 დეპუტატს).
- **კონსტიტუციის დარღვევის, ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადასტურება** - იმპიჩმენტის საკითხი გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.
- **იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება** - თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდ-

გენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი (სულ მცირე 100 დეპუტატი). თუ პარლამენტმა ორი კვირის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი.

შაიო, ა.: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, გამომცემლობა: სეზანი.

იზორია, ლ.: საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ნახევრად-საპრეზიდენტო? 2010.

IV. საქართველოს მთავრობა

საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავი ეძღვნება საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მაგრამ მთავრობა ახორციელებს მათ. სწორედ აქ იკვეთება საკანონმდებლო (პარლამენტის) და აღმასრულებელი (მთავრობა) ხელისუფლების ფუნქციები.

საქართველოს მთავრობა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების კოლექტიური ორგანოა. იგი შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო (ე.წ. „უპორტფელო“) მინისტრი. სამინისტროები იქმნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროებში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. **აღნიშნული კანონის პროექტის პარლამენტისათვის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას.**

მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. პრემიერ-მინისტრის გადადგომა, ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა ინვესს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული. სახელმწიფო რწმუნებულს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში მთავრობის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და მთავრობის ნორმატიული აქტებით.

ყველა მთავრობა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამთავრობო პროგრამით.

1. საქართველოს მთავრობისთვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების წესი, მთავრობის წევრის იურიდიული პასუხისმგებლობა

საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მთავრობის წევრთა დანიშვნისთანავე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით ნდობას გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც თავის მხრივ ნიშნავს მინისტრებს. პარლამენტი მთავრობის მიმართ ფლობს კონსტიტუციით დადგენილ მაკონტროლებელ ბერკეტებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პარლამენტის უფლებამოსილება უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, რაც იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

მთავრობის წევრის იურიდიული პასუხისმგებლობა დგება **ინდივიდუალურად** იმპიჩმენტის შედეგად, ხოლო პოლიტიკური პასუხისმგებლობა დგება **კოლექტიურად**, უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით დადგენილია მთავრობის წევრთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლის შემთხვევაში. მთავრობის წევ-

რის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა მთავრობის წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი ამ დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლი განსაზღვრავს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურას. მთავრობა, ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შექენისთანავე, იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და მხოლოდ დროებით განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 4 კვირის ვადაში პარლამენტმა ნდობა უნდა გამოუცხადოს მთავრობას. 2 კვირის ვადაში, კენჭი ეყრება პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. **ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.** თუ ამ მცდელობისას, პარლამენტის მიერ ვერ იქნა არჩეული მთავრობა, პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს მთავრობა, შესაბამისი სამთავრობო პროგრამით. მეორე კენჭისყრა უნდა ჩატარდეს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, არაუგვიანეს 4 კვირის ვადაში.

იმ შემთხვევაში თუ პარლამენტმა პირველი და მეორე მცდელობის მიუხედავად, დადგენილ ვადაში, ნდობა არ გამოუცხა-

და მთავრობას (ნდობის პირველი არგამოცხადებიდან) არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა, **საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.**

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება.

საქართველოს კონსტიტუციის 57-ე მუხლით დადგენილია პარლამენტის უფლებამოსილება, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. იგივე მუხლი განსაზღვრავს უნდობლობის გამოცხადების პროცედურას. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, რომელიც თავის მხრივ, პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარუდგინება სამთავრობო პროგრამა.

თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი, დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას, რომელსაც პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა, უფლებამოსილება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან უწყდება.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას,

დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, შესაძლებელია, ნდობის გამოცხადების საკითხი პარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაისვას. ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა.

თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, 7 დღის ვადაში კენჭი ეყრება მთავრობას, რომელსაც წარადგენს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატი. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარუდგინება სამთავრობო პროგრამა. თუ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

ხოლო თუ, საქართველოს პარლამენტი არც ერთი მცდელობისას არ გამოუცხადებს ნდობას მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი (ნდობის პირველი არგამოცხადებიდან) არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

ახალარჩეული მთავრობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს იმავე ვადით, რა ვადითაც პარლამენტი ფუნქციონირებს. მისი უფლებამოსილებები იწურება იმ პარლამენტის უფლებამოსილებებთან ერთად, რომელმაც მას ნდობა გამოუცხადა. ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება. თუმცა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

2. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია მთავრობის უფლებამოსილების ფარგლები. მთავრობის უფლებამოსილებები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

2.1. ეკონომიკური მიმართულება

მონაწილეობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში; უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთიანობას, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტული და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას; მართავს სახელმწიფო ქონებას; არეგულირებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს, შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; უზრუნველყოფს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის მართვას.

2.2. სოციალური მიმართულება

სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას; უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას; შეიმუშავებს უმუშევრობის შემცირებისა და ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას; უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო საემიგრაციო და საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებას; უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ზოგადი, პროფესიული

და უმაღლესი განათლების სრულყოფას; უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას; ორგანიზებას უწევს ბუნებრივი რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას.

2.3. ძალგანი/უსაფრთხოების/თავდაცვის მიმართულება

მთავრობასთან შეთანხმებით წყდება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსისა და სხვა მხედართმთავრების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გადაყენება; მთავრობა იღებს ზომებს ქვეყნის თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტს; საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულებას; ამტკიცებს საჯარისო წესდებებს, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სამხედრო დოქტრინისა და საქართველოს სამხედრო ძალების აღმშენებლობის კონცეფციის პროექტებს; ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების აღმშენებლობის, გამოყენებისა და მობილიზაციის გეგმებს, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმებს; ამტკიცებს ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო-ოპერატიულ გეგმებსა და საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს; უზრუნველყოფს საქართველოს სამხედრო ძალების ფინანსური საშუალებებით, საბრძოლო ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას; უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას; უზრუნველყოფს დამნაშავეობასთან ბრძოლას; უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებების განხორციელებას.

2.4. საგარეო პოლიტიკის მიმართულება

მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას; პრეზიდენტის მიერ, მთავრობასთან შეთანხმებით იმართება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები, აგრეთვე წყვეტს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების საკითხებს და უზრუნველყოფს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებათა შესრულებას; მიმართავს საქართველოს პარლამენტს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ; საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით საქართველოს ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ; მთავრობასთან შეთანხმებით წყდება სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების მიღებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხებს.

2.5. სამინისტროების კოორდინაცია, მართვა და ტერიტორიული კონტროლი

გარდა ამისა მთავრობას აქვს **ადინისტრაციული, მმართველობითი უფლებამოსილებები**. იგი კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამინისტროების საქმიანობას (გარდა პროკურატურის საქმიანობისა), ამტკიცებს სამინისტროების აპარატების და სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიისა და საბჭოს დებულებებს, უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები (გარდა პროკურატურის აქტებისა). მთავრობა ასევე უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს წარდგინებით თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის

შეჩერების ან დათხოვნის შესახებ, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას; მთავრობასთან შეთანხმებით, ინიშნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

2.6. კანონიერებაზე ზრუნვა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

მთავრობა წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივებს საქართველოს პარლამენტში და შეიმუშავებს სამთავრობო პროგრამას; უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს წარდგინებით საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რიგგარეშე სესიის, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ; იღებს ზომებს კანონიერების უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად; იღებს ზომებს საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად;

3. საქართველოს მთავრობის სტრუქტურა

საქართველოს მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. იგი ხელმძღვანელობს მთავრობას, განსაზღვრავს მისი საქმიანობის მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მის საქმიანობას. მთავრობის მეთაური, მთავრობის საქმიანობისათვის პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე. იგი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესა-

ხებ. პრემიერ-მინისტრი ასევე უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი. იგი წარმოადგენს მთავრობას სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის ან რამდენიმე წევრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება. ვიცე-პრემიერების რაოდენობას განსაზღვრავს თვით პრემიერ-მინისტრი. პირველი ვიცე-პრემიერი ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას, მისი არყოფნისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე მის ცალკეულ დავალებებს.

მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც ასევე უპორტფელო მინისტრებს უწოდებენ. ე.წ. უპორტფელო მინისტრი არ მართავს კონკრეტულ დარგს. იგი როგორც წესი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად დროებით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრამდე იქმნება. სამინისტრო იქმნება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.

ბოლო, 2018 წლის 5 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოში შემცირდა სამინისტროების რაოდენობა. დარჩა მხოლოდ ერთი სახელმწიფო მინისტრი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და მისი აპარატი. მთავრობის შემადგენლობაშია ასევე შემდეგი სამინისტროები:

- 1) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის;
- 2) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის;
- 3) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების;
- 4) თავდაცვის;
- 5) იუსტიციის;

6) ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის;

7) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის;

8) საგარეო საქმეთა;

9) ფინანსთა;

10) შინაგან საქმეთა.

სამინისტროები ანგარიშვალდებული არიან მთავრობის წინაშე და ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ, ან მათზე მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ დაკისრებულ ამოცანებს. თითოეულ სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

მთავრობის წევრებს უფლება არა აქვთ ეკავოთ სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, იღებდნენ ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები.

მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

4. საქართველოს მთავრობის მუშაობის წესი და მთავრობის სამართლებრივი აქტები

მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვის, სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი დადგენილია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და მთავრობის რეგლამენტით. მთავრობის რეგლამენტს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

მთავრობის სხდომა იმართება მინიმუმ თვეში ერთხელ. მთავრობის სხდომას იწვევს, მის დღის წესრიგს განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მთავრობის სხდომა, განსხვავებით პარლამენტის სხდომისაგან როგორც წესი დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან მთავრობის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება საჯაროდ გამოცხადდეს. მთავრობის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მთავრობის დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევრისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია მთავრობის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

მთავრობა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად **იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს.** მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, ხოლო მთავრობის **ინდივიდუალურ-სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება ხდება მთავრობის განკარგულებით.** პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მოწონების, წინასწარი შეთანხმების ან/და შეთანხმების, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მიერ მისი **კონტრასიგნაციის თაობაზე, მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს განკარგულების სახით.**

მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. იგი თავისი უფლებამოსილების

ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. **მთავრობის სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.**

მინისტრის ბრძანება არის ნორმატიული აქტი და შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ - საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით - განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. მინისტრის ბრძანებაში, მითითებული უნდა იყოს ის ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც და რომლის შესასრულებლად გამოიყენა იგი.

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით, იქმნება მთავრობის ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

5. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციის წესი

საქართველოს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა გადაეცემა პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის. აქტის გადაცემიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა იწყება კონტრასიგნაციის პროცედურა. პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის გადაცემული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი 10 დღის ვადაში გააქვს მთავრობის სხდომაზე განსახილველად. თუ მთავრობა მოიწონებს (მას მხარს დაუჭერს მთავრობის დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევრისა) საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრემიერ-მინისტრი ხელს აწერს მას. ამ შემთხვევაში კონტრასიგნაცია დასრულებულად ჩაითვლება.

თუმცა შესაძლებელია, რომ მთავრობამ არ მოიწონოს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც

პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის გადაეცა. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა ამზადებს მოტივირებულ შენიშვნებს, რომლებსაც პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტს გადასცემს 10 დღის ვადაში. პრეზიდენტს თავის მხრივ, შეუძლია მომდევნო 10 დღის ვადაში მთავრობის შენიშვნების შესაბამისად ცვლილება შეიტანოს თავის სამართლებრივ აქტში და ამ სახით ხელახლა გადასცეს იგი პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის. ამის შემდეგ მეორდება დადგენილი კენჭისყრის პროცედურა და კონტრასიგნაციისათვის პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს კვლავ სჭირდება დამსწრე წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, მაგრამ არანაკლებ მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევრისა. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა კვლავ არ მოიწონებს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტს, პრეზიდენტს აღარ შეუძლია გადასცეს პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისათვის იმავე შინაარსის სამართლებრივი აქტი, მისი განმეორებითი კენჭისყრიდან 6 თვის ვადაში.

კონტრასიგნაციის პროცედურა შესაძლოა დაჩქარებული წესითაც განხორციელდეს, თუ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრს დასაბუთებულად მოსთხოვს თავისი სამართლებრივი აქტის კონტრასიგნაციას. თუ პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის მიმართვას კონტრასიგნაციის დაჩქარების შესახებ არ მიიჩნევს დასაბუთებულად, კონტრასიგნაცია განხორციელდება ჩვეულებრივი, დადგენილი წესით, რასაც პრემიერ-მინისტრი ოფიციალურად აცნობებს პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მიმართვას კონტრასიგნაციის პროცედურის დაჩქარების შესახებ, საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნევს, მას საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი 3 დღის ვადაში გააქვს მთავრობის სხდომაზე განსახილველად. დაჩქარებული წესისას, კონტრასიგნაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, მთავრობის მოტივირებული შენიშვნები საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა არა 10, არამედ 3 დღის ვადაში.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება/საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტი კონტრასიგნაციისათვის უნდა გადაეცეს პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე. სამართლებრივი აქტის წარდგენას უზრუნველყოფს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის ბრძანებულება ან დეკრეტი 24 საათის განმავლობაში გააქვს მთავრობის სხდომაზე განსახილველად. თუ მთავრობის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, მაგრამ არანაკლებ მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევრისა, მხარს დაუჭერს პრეზიდენტის ბრძანებულებას ან დეკრეტს, პრემიერ-მინისტრი დაუყოვნებლივ ახორციელებს კონტრასიგნაციას და იგი გადაეცემა პრეზიდენტს. ხოლო, თუ მთავრობა არ მოიწონებს პრეზიდენტის ბრძანებულებას ან დეკრეტს, პრეზიდენტს უფლება არა აქვს, მიმართოს პრემიერ-მინისტრს იმავე საკითხის თაობაზე კონტრასიგნაციის მოთხოვნით მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც კონტრასიგნაციას საჭიროებს, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში და ამ სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას. მთავრობის მიერ კონტრასიგნებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, მოპასუხედ გამოდის არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის რეგლამენტი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იური-სტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი;

შაიო, ა.: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, გამომცემლობა: სეზანი.

V. სასამართლო ხელისუფლება

ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის უზენაესობასთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს პირის უფლებებში ხელისუფლების ორგანოების ჩარევაზე სასამართლო კონტროლს. ჩვეულებრივ ასეთი კონტროლი სასამართლო ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს, ვინაიდან სწორედ სასამართლო კონტროლი გულისხმობს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სთანადო პროცედურების დაცვის საუკეთესო გარანტიებს.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების მეშვეობით. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელიც შედგება სამი ინსტანციისაგან. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოებს შეუძლიათ. მათ გადანყვეტილება გამოაქვთ საქართველოს სახელით. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. სასამართლოს აქტები კი სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნას. დაშვებულია ერთადერთი გამონაკლისი — სამხედრო სასამართლოები, რომლებიც შეიქმნება შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში, საომარი მდგომარეობის დროს, ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით. ამავე დეკრეტით უნდა განისაზღვროს სამხედრო სასამართლოს შემადგენლობა, განსჯადობა და მის მიერ საქმეთა განხილვის წესი. აღნიშნული დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. იგი არცერთი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ არ არის ანგარიშვალდებული. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების, შეცვლის ან შეჩერების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს და არცერთ სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს.

1. საქართველოს საერთო სასამართლოები

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ მართლმსაჯულებას, რაც არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა. მართლმსაჯულების განხორციელება მისი ექსკლუზიური კომპეტენციაა. მართლმსაჯულების განხორციელება პროცესუალური ეტაპებისგან შედგება. იგი დადგენილია საკანონმდებლო აქტებით, რომლებსაც პარლამენტი იღებს.

საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების სისტემის ავტონომიურობას, მოსამართლის, მისი საქმიანობის დამოუკიდებლობას, ხელშეუვალობის გარანტიებს. სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

1.1. საერთო სასამართლოების სისტემა

საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია. საქართველოს საერთო სასამართლოები: საქართველოს უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში და ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის წესი განსხვავდება სხვა სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის წესისაგან. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში იქმნება:

- სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- დიდი პალატა;
- პლენუმი;
- სადისციპლინო პალატა;
- საკვალიფიკაციო პალატა.

უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატებისა) არის საკასაციო ინსტანციის

სასამართლო, რომელიც დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საკასაციო ინსტანციის სასამართლოა, რომელიც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს. უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას საქმე განსახილველად გადაეცემა თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.

უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან. პლენუმი უფლებამოსილია: ა) აირჩიოს დიდი პალატის შემადგენლობა; ბ) აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობები და თავმჯდომარეები; გ) დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი; დ) მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ და ა.შ.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განიხილავს საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე.

უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

ბ) სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. თუმცა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება დაწესდეს სააპელაციო საჩივრების ერთპიროვნული განხილვა კანონით დადგენილი წესით.

აქტუალური მდგომარეობით შექმნილია **თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები**. თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება საჩივრები აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში – საჩივრები დასავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო სასამართლოში იქმნება:

- სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- საგამოძიებო კოლეგია.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამოძიებო კოლეგიას 3ყავთ თავმჯდომარეები.

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლო

რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, – კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში. საქალაქო სასამართლო იქმნება თვითმმართველ ქალაქში. თუმცა, საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში იქმნება კოლეგიები. სასამართლოში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრადი მოსამართლეები. მაგისტრადი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს 3ყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, (ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – მათ შორის) ან სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

1.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილებები

საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილება დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში. ჯერ კიდევ 2007 წლის კონსტიტუციურ ცვლილებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენდა პრეზიდენტის სათაბირო ორგანოს, რომელსაც ეს უკანასკნელი თავად ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ცვლილებით, მოსამართლეთა დანიშვნა გათავისუფლების საკითხი მთლიანად დამოუკიდებელი უწყების - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს - კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ მოსამართლეები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული დამოუკიდებელი სტრუქტურული რგოლი სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში, რომელიც მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით არის შექმნილი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის მიერ არის არჩეული.

იუსტიციის საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად (*ex officio*) შედის საბჭოს შემადგენლობაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს

ველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე.

1.3. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოა. იგი შედგება უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისაგან.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს სასამართლოებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცებას, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას.

მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისა და საბჭოს სხვა წევრების არჩევა;
- საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრების არჩევა;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

მდივნის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ და სხვა.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიას და რეგლამენტს, რომლებიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სისტემაში მისი ფუნქციების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელიც შედგება 9 წევრისაგან. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას და კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია 3 წლის ვადით. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს აქტები საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე; აქტები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

1.4. მოსამართლის სტატუსი და თანამდებობაზე განწესება

მოსამართლის თანამდებობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან იგი უშუალოდ ახორციელებს სასამართლო ხელისუფლების მიზნებსა და ფუნქციებს. სწორედ ამიტომ, მო-

სამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, მას მაღალ სოციალური თუ პროფესიული ხასიათის მოთხოვნებს უყენებენ. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, შეუვალი, ნესიერი, კომპეტენტური და გულისხმიერი.

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. **საქართველოს კონსტიტუციით საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.** საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას **მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.** მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპების განხორციელება საჭიროებს განსაკუთრებულ მექანიზმს, თუმცა ამ პრინციპის მოქმედება შესაძლებელია ირღვეოდეს. მსგავსი გარემოების და საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლი.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს. მისი იურისდიქცია ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილება საბოლოოა. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.

2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი

სასამართლო ხელისუფლებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და

გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება **პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან**. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე მოსამართლე.

პლენუმის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი მოსამართლე. კოლეგიის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

კოლეგიის შემადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით პლენუმის მიერ მტკიცდება. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლო აგრეთვე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის ორ მოადგილესა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით.

2.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ პირთა წრეს. მიმართვის ფორმა არის სარჩელი ან წარდგინება. საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ: 1. საქართველოს პრეზიდენტს, 2. მთავრობის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, 3. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, 4. საერთო სასამართლოს, 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, 6. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, 7. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, 8. სახალხო დამცველს, 9. გენერალურ აუდიტორს, 10. გენერალურ პროკურორს, 11. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საკონსტიტუციო სასამართლო:

- ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;
- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;
- საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;
- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

- საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;
- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;
- პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;
- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით;
- ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს

კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა საერთო სასამართლოში განახლდება მას შემდეგ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

მოქმედი კონსტიტუციით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მოქალაქეთა/იურიდიულ პირთა სარჩელებს თუ მათი კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებები ნორმატიული აქტით არის დარღვეული. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გააუქმოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილება. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას.

3. მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან

მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

4. მოსამართლის დამოუკიდებლობა და იმუნიტეტი

კონსტიტუცია მოსამართლის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს მისთვის სათანადო გარანტიების მინიჭების გზით. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემო-

ქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გად-
ანყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და
ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამარ-
თლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი,
რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ყველა მოსამართლეს იცავს სამოსამართლეო იმუნიტეტი.
იგი ხელშეუხებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია მისი
სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან და-
პატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან
პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონ-
სტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონ-
სტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია
დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა
ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონ-
სტიტუციო სასამართლოს. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თა-
ვისუფლებაზე ზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა
გათავისუფლდეს.

5. სამართალწარმოების პრინციპები

საქართველოს კონსტიტუცია ყველა ტიპის სამართალწარ-
მოების განხორციელებას მხარეთა თანასწორობასა და შეჯი-
ბრებითობას უკავშირებს. მხოლოდ ამ პრინციპების უზრუნ-
ველყოფის პირობებში არის შესაძლებელი საქმის სამართლიანი
განხილვის უფლების სრულყოფილი რეალიზაცია.

სამართალწარმოების პროცესში მხარეები სარგებლობენ
თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ
თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის
მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცე-
ბულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი
ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი
მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგან-
ული კანონი;

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონი;

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქარ-
თველოს კანონი;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს
საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, და-
ვით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონ-
სტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა:
იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუ-
ციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემ-
ლობა: რაიზი;

ზოიძე, ბ.: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა
ნესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007;

შაიო, ა.: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციო-
ნალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, გამომცემლობა: სეზანი;

ხეცურიანი, ჯ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, გამომცემლობა:
ფავორიტი სტილი.

VI. სახელმწიფო ფინანსები და მისი კონტროლი

ხელისუფლებას საკუთარი ფუნქციების, ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებისთვის სათანადო ფინანსური რესურსი - ბიუჯეტი¹ ესაჭიროება, რომლის მობილიზაცია სხვადასხვა წყაროებიდან, საშუალებებიდან (მაგ.: გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან, გრანტებიდან) ხორციელდება. ბიუჯეტის მოცულობა, მისი დინამიური ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური, მდგრადი განვითარებისათვის, საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის პროექტის ინიცირებისა და მიღების, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის საფუძვლები კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა. საბიუჯეტო პროცესი ამ ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია. იგი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

წინამდებარე ნაწილში განხილულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ცენტრალური კომპონენტის - სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა, გადასახადებისა და მოსაკრებლების კონსტიტუციური საფუძვლები, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებები.

1 ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

1. სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა. სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს კანონის სახით ყოველწლიურად იღებს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის უფლებამოსილება კონსტიტუციით მხოლოდ მთავრობას გააჩნია. მთავრობის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე მთავრობა პარლამენტის კომიტეტებთან განიხილავს ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და მონაცემებს.²

საქართველოს მთავრობა მომდევნო საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. მასთან ერთად მთავრობამ ასევე უნდა წარადგინოს მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. იგი წარდგენილ უნდა იქნეს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა.

მთავრობის თანხმობის გარეშე პარლამენტს არ შეუძლია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანა. ამასთან, მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს

2 ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

კანონი, რომელიც განაპირობებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი არ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები დაიფარება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მთავრობისგან პარლამენტის ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც განამტკიცებს პარლამენტის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ავტონომიურობას, მთავრობის კონტროლის მექანიზმებს. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის განკუთვნილი მიმდინარე სახსრების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი. პრეზიდენტს უფლება აქვს ბიუჯეტის კანონს შემაფერხებელი ვეტო დაადოს. პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარება დასაშვებია მხოლოდ მთავრობის თანხმობით. პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს დაძლევისთვის საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

2. გადასახადები და მოსაკრებლები

კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა, მათგან გათავისუფლება.

გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის ორი სახე არსებობს: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); დ) აქციზი; ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების განევისათვის. შემოღების წესიდან გამომდინარე მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი (მაგ.: საკონსულო მოსაკრებელი, სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებელი და ა.შ.) და ადგი-

ლობრივი (მაგ.: დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვა).

3. საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს. იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;
- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია და სხვა.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ეროვნული ბანკის ინსტიტუციური ავტონომიურობა. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. იგი ზედამხედველობს საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრების, სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას. სამსახური უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო სახსრების მართვის კონტროლს პარლამენტის მიერ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან/და მისი საქმიანობის კონტროლი, ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. აკრძალულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც 5 წლის ვადით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი;

როგავა, ზ.: საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი I, თბილისი, 2018, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

ცნობილაძე, პ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, თბილისი, 2004, გამომცემლობა: უნივერსალი.

ავტორთა კოლექტივი (რედ. გეგენავა, დ.) კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი 1. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“, თბილისი, 2018;

პაკტი, პ. ფერდინან მელენ-სუკრამანიანი.: კონსტიტუციური სამართალი, Droit constitutionnel: სამეცნიერო რედაქტორი : ავთანდილ დემეტრაშვილი; მთარგმნელი: გიული კალატოზიშვილი, თბილისი, 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

VII. საქართველოს თავდაცვა და უსაფრთხოება

თავდაცვის უფლება სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელი, თანდაყოლილი უფლებაა. იგი არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. თავდაცვის უფლება აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. საერთაშორისო სამართალში იგი განიხილება როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე კოლექტიურ უფლებად. თავდაცვის უფლების კოლექტიურად რეალიზაციის მაგალითია სახელმწიფოების მიერ ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) შექმნა და მის ფარგლებში საქმიანობა.

საქართველოს კონსტიტუცია თავდაცვით ომს საქართველოს სუვერენულ უფლებად აცხადებს. იგი განსაზღვრავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის, ორგანიზების საფუძვლებს, თავდაცვის ძალებს ანიჭებს კონსტიტუციურ სტატუსს, ადგენს საომარი მდგომარეობის გამოცხადების, ვერიფიკაციის წესს, საომარი მდგომარეობის პერიოდში გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე სუბიექტებს. გარდა ამისა, კონსტიტუციით დადგენილია კრიზისულ ვითარებასთან გამკლავების მექანიზმი.

1. თავდაცვის ძალები

საქართველოს დაცვა მისი ყოველი მოქალაქის ვალდებულებაა, კანონი განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის გავლის წესს. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს საკუთარი თავდაცვის ძალები. მათ რაოდენობას მთავრობის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს საქართვე-

ლოს პარლამენტი. თავდაცვის ძალები მოქმედებენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კანონით დადგენილი წესით, ხოლო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს – პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.

2. საომარი და საგანგებო მდგომარეობა

საომარი მდგომარეობა - ცხადდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოზე ხორციელდება შეიარაღებული თავდასხმა ან არსებობს ასეთი თავდასხმის რეალური, უშუალო საფრთხე. საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან, თუმცა იგი საჭიროებს პარლამენტის მიერ **დამტკიცებას. პარლამენტი საომარი მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.** თუ იგი ამ გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, გადაწყვეტილება კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

საომარი მდგომარეობის დროს კონსტიტუცია ითვალისწინებს სათათბირო ორგანოს – **ეროვნული თავდაცვის საბჭოს შექმნას, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი.** ეროვნული თავდაცვის საბჭოს ex officio წევრები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრებად შეიძლება მონვეულ იქნენ პარლამენტისა და მთავრობის ცალკეული წევრები. ეროვნული თავდაცვის საბჭო მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას.** თუმცა,

პარლამენტის მიერ დამტკიცებას ექვემდებარება ზავის დადება, რომელსაც დებს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

საომარი მდგომარეობა უქმდება იმავე წესით, რაც მისი გამოცხადებისთვის არის დადგენილი, ე.ი. საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის გაუქმების თაობაზე. იგი ასევე საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ხდება მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა სათანადო შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. მას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში, არსებული კრიზისული ვითარების გათვალისწინებით. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება დასამტკიცებლად დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. იგი ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

საგანგებო მდგომარეობაც უქმდება ისეთივე წესით, როგორც მისი გამოცხადებისთვის არის დადგენილი. საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების თაობაზე. იგი საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

დეკრეტი - საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს **ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს**, რომლებიც მოქმედებს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. იგი დასამტკიცებლად დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს ან/და შეაჩეროს ცალკეული ძირითადი უფლებები.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს **შეზღუდვას ექვემდებარება შემდეგი ძირითადი უფლებები:**

- ადამიანის ფიზიკური თავისუფლება;
- მიმოსვლის თავისუფლება;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები;
- აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები;
- სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები;
- საკუთრების უფლება;
- შეკრების თავისუფლება;
- შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება.

საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის დროს შესაძლებელია **შეჩერდეს შემდეგი ძირითადი უფლებების მოქმედება:**

- ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების ის კომპონენტები, რომლებიც ეხება: 1. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდებას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით; 2. დაკავებული პირის 48 საათში განსჯადობის მიხედვით სასამართლოში წარდგენას და მომდევნო 24 საათის განმავლობაში გათავისუფლებას თუ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ; 3. პირისთვის დაკავებისთანავე მისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლის განმარტებას, ადვოკატის დახმარებას; 4. ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალურ ვადის (9 თვის) განსაზღვრას; 5. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლებას.
- მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები;
- პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის ფარგლები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, მისი შეზღუდვის ფარგლები; საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებები;
- საკუთრების უფლების კომპონენტი, რომელიც ადგენს საკუთრების ჩამორთმევის კონსტიტუციურ სტანდარტს.

დეკრეტი, რომელიც ეხება ძირითადი უფლებების შეზღუდვას თუ შეჩერებას, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად, რომელიც მას ამტკიცებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. დეკრეტი ძირითადი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შე-

დის მისი გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ – პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნების ჩატარებას. თუმცა, თუ საგანგებო მდგომარეობა შემოღებულია ქვეყნის რომელიმე ნაწილში, საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება.

3. თავდაცვის ძალების გამოყენება

საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას.

საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

იმ შემთხვევაში თუ საგანგებო მდგომარეობის შემოღება განპირობებულია ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის გამო, თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კომპტენეცია ენიჭება პრემიერ-მინისტრს. ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. პარლამენტი მხოლოდ უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე.

საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. იგი

დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. გად-
ანყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ სრული შემად-
გენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და
კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა
სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და
გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართვე-
ლოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის წარდგინების საფუძველ-
ზე. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლა-
მენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის მიერ
სრული შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისთანავე.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს
საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, და-
ვით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.

VIII. ადგილობრივი თვითმმართველობა

საქართველოში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების
მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას უზრუნ-
ველყოფს საჯარო მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია,
დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის
ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ადგილობრივ ხელისუ-
ფლებას მოქალაქესთან ყველაზე ახლოს მყოფ ხელისუფლება-
საც უწოდებენ. შესაბამისად, მოქალაქეთა ცხოვრებაში ადგი-
ლობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებული როლიდან
გამომდინარე, იგი კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი. მას საქა-
რთველოს კონსტიტუციის მეცხრე თავი ეძღვნება.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ადგილობრივი თვითმ-
მართველობის საფუძვლები, მუნიციპალიტეტის სტატუსი, ორ-
განიზების პრინციპები, კომპეტენციები, წარმომადგენლობითი
და აღმასრულებელი ორგანოების არჩევის წესი და საქმიანობის
პრინციპები.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს საქართ-
ველოს ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებს. ამავე მუხლის
მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეები ადგი-
ლობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი
თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებ-
ლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმ-
მართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძ-
ნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს
თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამი-
სობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი
ერთეულის უფლებამოსილებებთან“.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სა-
მართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია,

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღმასრულებელი ორგანოები აღასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებებს და ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ასევე თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნას, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას. კონსტიტუცია განსაზღვრავს წესს, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების რამდენიმე შტო მონაწილეობს თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნაში. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წარდგინებით და საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიერ, **ადგილობრივი თვითმმართველობა განიმარტება**, როგორც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. **მუნიციპალიტეტი არის დასახლება** თვითმმართველი ქალაქი ან თვითმმართველი თემი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, მის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები.

მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** (სსიპ).

საქართველოს ტერიტორიაზე არის 64 მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტებიდან: 5 არის თვითმმართველი ქალაქი. თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი. 59 თვითმმართველი თემი.

მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან 9 მხარეში, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს. მათ მხოლოდ საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქცია გააჩნიათ თვითმმართველობის ერთეულებსა და მთავრობას შორის. მთავრობას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო თვითმმართველ ერთეულს – გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს ორი სახის, **თვითმმართველი ქალაქი** და **თვითმმართველი თემი**. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მუნიციპალიტეტის სახეებს შორის არის ის, რომ თვითმმართველი ქალაქი არის მხოლოდ ერთი დასახლება, რომელიც უნდა იყოს ქალაქის კატეგორიის, ხოლო თვითმმართველი თემი რამდენიმე დასახლებათა ერთობლიობაა.

მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება. მას აქვს საკუთარი სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. არსებობს დასახლების შემდეგი კატეგორიები: სოფელი, დაბა, და ქალაქი.

სოფელი არის იმგვარი დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა

ბუნებრივი რესურსებია მოქცეული. მისი ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე.

დაბა კი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები, სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები. იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა სოფლისაგან განსხვავებით, არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. იგი არის დასახლება, რომელიც თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია.

ქალაქი წარმოადგენს იმ ტიპის დასახლებას, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, ტურისტულ, სამკურნალო, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისაგან მიჯნავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონმდებლობის დაცვით და თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

საქართველოს კონსტიტუცია და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი აყალიბებენ მუნიციპალიტეტის უფ-

ლებამოსილების სახეებს, რომელიც არის 1. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და 2. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.

მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არის დადგენილი და რომელსაც ის დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია.**

მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებად ითვლება, სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ზუსტი ნუსხა დეტალურად არის დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით. აღნიშნული კოდექსის მე-17 მუხლი კი ადგენს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების წესსა და პირობებს. უფლებამოსილებათა დელეგირების მიზანი არის ის, რომ განსაზღვრული საკითხების ადგილობრივ დონეზე განხორციელება უფრო ეფექტიანია.

კოდექსით მოცემული საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალი პირობითად შეიძლება დაჯგუფდეს სფეროების მიხედვით:

1) საერთო ადმინისტრირების სფერო: თვითმმართველობის ორგანოთა სტრუქტურის შექმნა, თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა, თვითმმართველი ერთეულის შიდა ადმინისტრაციული დაყოფა, თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დადგენა, საპატიო ნოდებებისა და ჯილდოების შემოღება, თვითმმართველი ერთეულის განვერიანება თვითმმართველობათა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში,

თვითმმართველ ერთეულში გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდება; თვითმმართველ ერთეულში შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;

2) საფინანსო-ეკონომიკური სფერო: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საბიუჯეტო სახსრების განკარგვა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა ზღვრული ოდენობების ფარგლებში; თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიების, პროგრამებისა და გეგმების მიღება და განხორციელება;

3) ტერიტორიული დაგეგმარებისა და მშენებლობის სფერო: მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება

4) ბუნებრივი რესურსების, მიწათსარგებლობისა და ქონების მართვის სფერო: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა;

5) ტერიტორიის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფერო: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა; მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების

შეგროვება და გატანა; წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

6) სოციალური სფერო: სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულგამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშესაფრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა; უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება

შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულოა.

სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე. ამგვარი ზედამხედველობა გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით. აღმასრულებელი ხელისუფლება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია დაინიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები. მას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოები

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე აწესრიგებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევის წესსა და მათ ფუნქციებს.

3.1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – **მუნიციპალიტეტის საკრებულო**. იგი აირჩევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი წესით, 4 წლის ვადით. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

საკრებულოს კომპეტენცია განერილია სფეროების მიხედვით: 1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტობის განმსაზღვრელ სფეროში; 2. შიდა ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში; 3. აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში; 4. საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში; 5. მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში.

მუნიციპალიტეტის **საკრებულოს თანამდებობის პირები არიან: 1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; 2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; 3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; 4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თვით მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს. საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩევა პირი, თუ იგი, კენჭისყრის შედეგად მიიღებს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ხმათა ნახევარზე მეტს. თავმჯდომარე აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსს

განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რაც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელია:

- იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ეკავოს საჯარო სამსახურში თანამდებობის პირის თანამდებობა, გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობისა;
- ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
- იმუშაოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში;
- იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;
- იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- საკრებულოს წევრობასთან ერთად იმუშაოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში/მერიაში;
- აგრეთვე იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან

დირექტორის მოადგილე, ან მონაწილეობა მიიღოს ასეთი საწარმოს მართვაში.

- იმუშაოს სხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის წესი:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც ინვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ხოლო საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა 1. მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით; 2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით; 3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით; 4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წინადადებით; 5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტის მოთხოვნით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას.

საკრებულო სხდომაზე იღებს **სამართლებრივ აქტებს:** ნორმატიულს – საკრებულოს დადგენილებას და ინდივიდუალურს – საკრებულოს განკარგულებას. გარდა სამართლებრივი აქტებისა, საკრებულო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს არასამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებიც: მიმართვა, განცხადება, რეკომენდაცია, ცნობა და ა.შ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრუქტურა: საკრებულო შედგება შემდეგი ერთეულებისაგან: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- **კანონიერების პრინციპი.** ეს პრინციპი საკრებულოს როგორც კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ამ პრინციპის თანახმად საკრებულოს მიერ საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის საფუძველზე, კანონის შესაბამისად და კანონით დადგენილ ფარგლებში. საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებს.
- **საჯაროობის პრინციპი.** თვითმმართველობის ორგანოების, განსაკუთრებით საკრებულოს საქმიანობის საჯაროობა აუცილებელი პირობაა მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციით 10 გარანტირებული უფლების განხორციელებისათვის. ეს პრინციპი მოითხოვს საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობას, გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მიერ საჯარო ზეგავლენის შესაძლებლობას. შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოქვეყნება, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის საჯაროობა.
- **ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი.** ეს პრინციპი გულისხმობს თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას. თვითმმართველობა არის ერთიანი ორგანიზმი და აქ შეიძლება მოხდეს მხოლოდ უფლებამოსილებათა გადანაწილება და არა ხელისუფლების გამიჯვნა და დაბალანსება. ხელისუფლების დანაწილების

პრინციპის გადმოტანა თვითმმართველობის დონეზე და ამ პრინციპის საფუძველზე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამიჯვნის მცდელობა პრინციპულად არასწორია.

- **კოლექტიურობის პრინციპი.** საკრებულო კოლექტიური ორგანოა და, შესაბამისად, მისთვის სავალდებულოა ამ პრინციპის დაცვა, ეს კი გულისხმობს საკითხთა მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების პროცესში განსხვავებულ აზრთა პლურალიზმსა და კონსენსუსს. კოლექტიურობის პრინციპის განხორციელების საფუძველს ქმნის საკრებულოს არჩევითობა და მრავალწევრიანობა, რადგან საკრებულო ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
- **წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვის პრინციპი.** ამ პრინციპის თანახმად საკრებულოს კომისიები, თუ სამუშაო ჯგუფები უნდა შედგეს საკრებულოში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვით.
- **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა საკითხების გადაწყვეტაში.** ეს პრინციპი გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის მოთხოვნიდან, რომლის მიხედვით თვითმმართველობის ორგანოები კანონით დადგენილ საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებენ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, რაც გულისხმობს იმას, რომ დაუშვებელია თვითმმართველობის ორგანოთათვის დირექტივების მიცემა ან იძულება საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას.
- **დადგენილი ფუნქციების განხორციელებაზე დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპი.** დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ნიშნავს ქმედებაზე (მოქმედება თუ

უმოქმედობა) პასუხისგებას საკუთარი რესურსებით (მატერიალური თუ სხვა სახის). თვითმმართველი ერთეული საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირია. შესაბამისად, მას გააჩნია დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, ანუ იგი პასუხს არ აგებს სხვა იურიდიული პირების ვალდებულებებზე, ისევე, როგორც სხვა იურიდიული პირები პასუხს არ აგებენ თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებებზე.

- **მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპი.** საკრებულო თავის საქმიანობისა და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაზე მხოლოდ თავის ამომრჩეველთა წინაშეა ანგარიშვალდებული. ამ პრინციპის რეალიზება უკავშირდება როგორც საჯაროობის პრინციპის დაცვას, ასევე ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობას.

3.2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი თვითმმართველ თემში არის გამგებელი, ხოლო თვითმმართველ ქალაქში - მერი. გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს. იგი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას.

გამგეობა/მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას. გამგეობას/მერიას ხელმძღვანელობს გამგებელი/მერი. **გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.** იგი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. გამგებლად/მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც. მერიის თანამდებობის

პირები არიან: მერი; მერის პირველი მოადგილე; მერის მოადგილე; მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი. მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი უშვებს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესაძლებლობას. მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. თუ უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით, რომელიც რეგისტრირდება საკრებულოს აპარატის მიერ. რეგისტრაციის შემდეგ საინიციატივო ჯგუფი იწყებს ხელმოწერების შეგროვებას. ხელმოწერები გროვდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის ფურცელზე. საინიციატივო ჯგუფი განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 თვისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ინიციატივას მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინიციატივა განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა. მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება,

თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მერისთვის უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია. მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო 1 წლის განმავლობაში.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ. გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი;

ზენაიშვილი, ა.: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

მელქაძე, ო. ქართული მუნიციპალიზმი (ნაწილი მეორე) ახალ პროექტში, თბილისი, 2014, გამომცემლობა: უნივერსალი, 2014;

USAID-ის დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა, ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის სამართლებრივი ასპექტები, ტრენინგის მასალები 2014.

IX. კონსტიტუციის გადასინჯვა

სამართლებრივ აქტში ცვლილების განხორციელება, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება მხოლოდ იმავე რანგის, ძალის მქონე სამართლებრივი აქტით შეიძლება. ამ მხრივ, არც კონსტიტუცია არის გამონაკლისი. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოს კონსტიტუციური კანონით ხდება, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

საქართველოს კონსტიტუცია თავადვე განსაზღვრავს მისი გადასინჯვის წესს. სიტყვა „გადასინჯვა“ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით უფრო მეტად ცვლილების შეტანასთან ასოცირდება, ვიდრე გაუქმებასთან. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებითვის სიტყვა „გადასინჯვაში“ იგულისხმება როგორც კონსტიტუციაში ცვლილების (მათ შორის დამატებების) განხორციელება, აგრეთვე კონსტიტუციის ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენაზე უფლებამოსილების მქონე სუბიექტებს და მისი მიღებისთვის ადგენს ე.წ. პლურალურ ვოტუმს.

1. კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიცირება

კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის გადასინჯვას, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი უნდა იქნეს სულ მცირე პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მიერ.

2. კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

პარლამენტი კონსტიტუციური კანონის პროექტს აქვეყნებს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ამ მიზნით პარლამენ-

ტი იღებს გადაწყვეტილებას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე. საორგანიზაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ასევე განსაზღვრავს პარლამენტი. საორგანიზაციო კომისია 1 თვის ვადაში განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებულ მასალებს. საორგანიზაციო კომისია საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვის მიზნით, მოსახლეობის მასშტაბით ინფორმირებისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, მართავს შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. საორგანიზაციო კომისიის შეხვედრაზე მოქალაქეთა მოსაზრებების დაფიქსირება ხდება ზეპირად ან/და წერილობით. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციური კანონის მიღება

კონსტიტუციური კანონის მიღების ორი მექანიზმი არსებობს. 1. იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი და მომდევნო მოწვევის პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მომდევნო მოწვევის პარლამენტი მას ერთი მოსმენით განიხილავს. 2. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი, ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციური კანონი არ საჭიროებს შემდეგი მოწვევის პარლამენტის მიერ განხილვასა და მიღებას. საქართველოს კონსტიტუცია სპეციალურ დათქმას აკეთებს იმ კონსტიტუციური კანონის მიღებასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ასეთი კონსტიტუციური კანონი მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, შემდგომი მოწვევის პარლამენტის დამტკიცების გარეშე.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

4. კონსტიტუციური კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

კონსტიტუციური კანონი, რომელიც მიღებულია პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის მხარდაჭერით, 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე, შესაბამისად პრეზიდენტის ვეტოს უფლებას არ ექვემდებარება კონსტიტუციური კანონი, რომელიც ორი მოწვევის პარლამენტის მიერაა მიღებული ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უკავშირდება.

თუმცა, პრეზიდენტს უფლება აქვს მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს კონსტიტუციური კანონის პროექტი უკან დაუბრუნოს თუ იგი მიღებულია პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის მხარდაჭერით (ხმათა ამ რაოდენობით მიღებული კონსტიტუციური კანონი არ საჭიროებს მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებას). თუკი პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კონსტიტუციური კანონის პირვანდელ რედაქციას, იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

კონსტიტუციური კანონის პროექტი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პრეზიდენტი ამ ვადაში ხელს არ მოაწერს და არ გამოაქვეყნებს კონსტიტუციურ კანონს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე 5 დღის ვადაში.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ.გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი;

ცნობილადე, პ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, თბილისი, 2004, გამომცემლობა: უნივერსალი;

ავტორთა კოლექტივი (რედ. გეგენავა, დ.) კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი 1. „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“, თბილისი, 2018;

პაკტი, პ. ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, **Droit constitutionnel:** (სამეცნ. რედ. დემეტრაშვილი, ა.) მთარგმნელი: კალატოზიშვილი, გ. თბილისი, 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პაპაშვილი, თ. გეგენავა, დ.: კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი - ნორმატიული მონესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, თბილისი, 2015.

X. არჩევნები და რეფერენდუმი

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი ფორმირდება ხალხის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე, რომელიც არჩევნებში რეალიზდება. არჩევნები არის სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების, დემოკრატიის პროცედურული მექანიზმი. გარდა ამისა, არჩევნები პოლიტიკური პროცესია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ამომრჩევლები და კანდიდატები. საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა ადამიანს არ გააჩნია, შესაბამისად ყველა ვერ იქნება ამომრჩეველი და კანდიდატი. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს აბსოლუტურ (მაგ.: მოქალაქეობის ცენზი) და პირობადებულ (მაგ.: ასაკობრივი ცენზი) შეზღუდვებს მასში მონაწილეობასთან მიმართებაში. თავის მხრივ, შეზღუდვებიც ყველა სახის არჩევნებში არ არის იდენტური. იმისათვის, რომ პირმა არჩევნებში როგორც ამომრჩეველმა ან/და კანდიდატმა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა კრიტერიუმებს (მოთხოვნებს) უნდა აკმაყოფილებდეს.

რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმაა. იგი არის ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელების მექანიზმი. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. ნიშანდობლივია, რომ მრავალი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს რეფერენდუმების ჩატარებისა და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების ხალხის მიერ გადაწყვეტის მყარი ტრადიცია.

1. არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის ჩატარების პრინციპები

საქართველოში არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის ჩატარება საარჩევნო სამართლის პრინციპებს ეყრდნობა. იგი ეფუძნება არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწი-

ილეობის უფლების საყოველთაოობას, თანასწორობას, პირდაპირობას, ამომრჩევლის ნების თავისუფალ და ფარული კენჭისყრით გამოვლენას.

არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწილეობის საყოველთაო უფლება მოიცავს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს.

აქტიური საარჩევნო უფლება (ამომრჩევლად ყოფნის უფლება) არის საქართველოს მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში. აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

პასიური საარჩევნო უფლება (კანდიდატად ყოფნის უფლება) საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად. იგი აქვს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც

სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

თვითმმართველი ქალაქის/თემის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწილეობის თანასწორი საარჩევნო უფლება გულისხმობს:

- არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში ამომრჩევლების თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობას;
- ამომრჩეველთა ხმათა თანაბარ რაოდენობას.

საქართველოში არჩევნები პირდაპირია, რას ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის საკრებულოს წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.

კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა გულისხმობს, რომ:

- საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით (გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა, რომელსაც ირჩევს საარჩევნო კოლეგია ღია კენჭისყრით);
- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

2. არჩევნების დანიშვნა საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დანიშვნის წესი.

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე.

პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნისა და არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

თუ პარლამენტის არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობის გაუქმებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია ან არჩევნები არ შედგა, საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში. საკრებულოს და მერის მორიგ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერით, საკრებულოს, მერის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე. საგანგებო ან საომარ მდგომარეობის დროს არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.

სილების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე. საგანგებო ან საომარ მდგომარეობის დროს საკრებულოს და მერის არჩევნები არ ტარდება. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მე-60 დღეს.

3. რეფერენდუმი

რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო-ბრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. იგი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგი ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით. **მოქალაქეები რეფერენდუმში მონაწილეობენ უშუალოდ და პირადად.** რეფერენდუმის ყოველ მონაწილეს აქვს ერთი ხმა. მასში მონაწილეობა თავისუფალია, მოქალაქეების ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

რეფერენდუმში მონაწილეობას ვერ მიიღებს მოქალაქე, რომელიც:

- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამისი სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში;
- სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ.

რეფერენდუმის მოწყობა დაუშვებელია:

- კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად;
- ამნისტიის ან შეწყალების გამო;
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ (ევროკავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფოების (მაგ.: საფრანგეთი, ირლანდია, ნიდერლანდების სამეფო) კანონმდებლობა იცნობს რეფერენდუმის საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის წესს);
- ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. რეფერენდუმის დანიშვნის მიზნით საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, რომელიც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. კონტრასიგნაცია არ სჭირდება ბრძანებულებას, როდესაც რეფერენდუმი ინიშნება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით.

რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე ერთ თვეში რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.

4. პლებისციტი

პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. რეფერენდუმისგან განსხვავებით, მისი შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

5. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. იგი შექმნილია საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

- ცესკოსა და მისი აპარატისგან;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიებისგან და მათი აპარატებისგან;
- საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
- საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა ცესკო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს და უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისაგან. ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი. მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას. ცესკოს 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის

წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 6 წევრს ნიშნავენ პარტიები საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის ორი მესამედით, ფარული კენჭისყრით, ან საქართველოს პარლამენტი. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

დანართი №1

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;
საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

დამატებით საკითხავი თეორიული მასალა:

ავტორთა კოლექტივი, (რედ.გეგენავა, დ.): საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა;

დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა: იურისტების სამყარო;

დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი.: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, გამომცემლობა: რაიზი.

დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა, მომზადებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. სტუდენტებისათვის, 2014-2015, თბილისი.

საქართველოს კონსტიტუცია

(2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით)

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო სუვერენიტეტი

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ას-სრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

მუხლი 2. სახელმწიფო სიმბოლოები

1. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.
2. საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.
3. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით.
4. საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია ორგანული კანონით, რომელიც გადაისინჯება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. დემოკრატია

1. საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
2. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.
3. არავის აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება. საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.
4. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.

მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო

1. საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო.
2. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.
3. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.
4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საკანონმდებლო

და სხვა ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესი და მათი იერარქია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო

1. საქართველო არის სოციალური სახელმწიფო.

2. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

3. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

4. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე.

6. სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

7. სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე.

8. სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება

1. ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

2. სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

3. დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.

მუხლი 7. ტერიტორიული მონყობის საფუძვლები

1. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების, სამოქალაქო სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის, საპროცესო კანონმდებლობა; მინის, ნიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა; ფარმაცევტული საშუალებების კანონმდებლობა; კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების, აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ; კანონმდებლობა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ;

გ) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები; საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

დ) სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და

საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; შეიარაღებული ძალები; სასამართლოები და პროკურატურა; სახელმწიფო უსაფრთხოება; კრიმინალური პოლიცია და გამოძიება; სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ე) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა და ემისია; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგადასახადო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაჭრობის კანონმდებლობა;

ვ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსები და მათი დაცვა; ავიაცია; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები; თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში; მეტეოროლოგია; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი

ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.

5. ორგანული კანონით ანაკლიაში იქმნება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, სადაც ვრცელდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი. ორგანული კანონით შეიძლება შეიქმნას ასევე სხვა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები სპეციალური სამართლებრივი რეჟიმით.

მუხლი 8. სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

თავი მეორე

ადამიანის ძირითადი უფლებები

მუხლი 9.

ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა

1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

მუხლი 10.

სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.
2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.

მუხლი 11.

თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

მუხლი 12.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 13.

ადამიანის თავისუფლება

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.
2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადანყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 14.

მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

3. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

მუხლი 15.

პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების სანინალმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უს-

აფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

მუხლი 16.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

მუხლი 17.

აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.

7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მენარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

მუხლი 18.

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად.

3. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

4. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

მუხლი 19.

საკუთრების უფლება

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

2. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.

ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 20.

შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა

1. შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს.

4. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

მუხლი 21.

შეკრების თავისუფლება

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.

2. კანონით შეიძლება დანესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 22.

გაერთიანების თავისუფლება

1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.

2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 23.

პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.

3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 24.

საარჩევნო უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადანიშნულებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

მუხლი 25.

საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

2. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.

მუხლი 26.

შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება

1. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

2. ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

3. გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების პირობები და წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. მენარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 27.

განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.

მუხლი 28.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.

მუხლი 29.

გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

მუხლი 30.

ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 31.

საპროცესო უფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების

შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.

4. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

6. არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

11. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.

მუხლი 32.

საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.

2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 33.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

მუხლი 34.

ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები

1. კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

2. ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები.

3. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

მუხლი 35.

საქართველოს სახალხო დამცველი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია.

2. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

თავი მესამე საქართველოს პარლამენტი

მუხლი 36.

პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით, რომელსაც პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს პარლამენტი. რეგლამენტს აქვს კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 37.

პარლამენტის არჩევნები

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფა-

ლი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.

3. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნისაგან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.

4. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

5. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებულია არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

6. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური

პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნანილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

7. პარლამენტის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 38.

პარლამენტის პირველი სხდომა და უფლებამოსილების შეწყვეტა

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

მუხლი 39.

საქართველოს პარლამენტის წევრი

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

4. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი.

5. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

- ა) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 40.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

1. პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ახორციელებს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის სასახლეში.

2. პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს.

მუხლი 41.

პარლამენტის ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან პარლა-

მენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მთავრობის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში იქმნება კომიტეტები.

3. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში რეგლამენტით დადგენილი წესით. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 42.

პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები

1. რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ინიციატივით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები.

2. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით. გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით. დროებითი კომისიაში საპარლამენტო ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც. დროებითი კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 43.

პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

2. საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდეკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

მუხლი 44.

პარლამენტის სესია და სხდომა

1. პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან მთავრობის მოთხოვნით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამონაწერისთანავე.

3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

4. პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პარლამენტის ღია სხდომის ოქმი საჯაროა.

5. პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განუყოფელი საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

მუხლი 45.

კანონშემოქმედება და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25000 ამომრჩეველს. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

2. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის

სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.

3. პარლამენტის სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი. გადაწყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი.

მუხლი 46.

კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. ორგანული კანონი ან კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავ-

ლესობა, გარდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონისა, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

5. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე.

6. თუ საქართველოს პრეზიდენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი და არც მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს ან ამ მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ვადის ამონურვიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

7. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 47.

საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას. პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას ახორციელებს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა გადაეცეს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 48. იმპიჩმენტი

1. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

5. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მთავრობის წევრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

6. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

თავი მეოთხე საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 49.

საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.
2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

მუხლი 50.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი

1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.
2. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც.
3. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. კვოტები განისაზ-

ღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის სასახლეში. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

5. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. თუ არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნის თარიღი ემთხვევა პარლამენტის არჩევნების ან მის წინა

თვეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში.

6. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

7. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 51.

საქართველოს პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილების შეწყვეტა, იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა

1. თანამდებობის დაკავების წინ, არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და დებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილდღეობისათვის აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

2. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება და საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

3. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

4. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 52.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს;

ბ) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

გ) კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს;

დ) მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს; ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს;

ე) ორგანული კანონით დადგენილი წესით წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს;

ვ) შეინყალებს მსჯავრდებულებს;

ზ) კანონით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო ნოდებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

თ) უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ან დაითხოვოს იგი, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ი) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიის ან შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. ნელინადმი ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მუხლი 53.

თანახელმონერა

1. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერას. სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს თანახელმონერას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმონერის შემდეგ. თანახელმონერილ სამართლებრივ აქტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

2. თანახელმონერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სესიის ან სხდომის მოწვევას;

ბ) კონსტიტუციური შეთანხმების დადებას;

გ) კანონის ხელმონერას და გამოქვეყნებას, პარლამენტისთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას;

დ) პრემიერ-მინისტრის დანიშვნას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნას; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე განწესებას; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას;

ე) სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების, საპატიო ნოდებების მინიჭებას;

ვ) მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტას;

ზ) მსჯავრდებულთა შეწყალებას;

თ) საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ან სასამართლოსათვის მიმართვას;

ი) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას.

თავი მხუთა

საქართველოს მთავრობა

მუხლი 54. მთავრობა

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

3. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.

4. სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად და მას ხელმძღვანელობს მინისტრი.

5. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს კანონით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

6. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ენეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

7. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები. სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

8. მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, რომლის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა.

მუხლი 55. საქართველოს პრემიერ-მინისტრი

1. მთავრობის მეთაურია საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.

3. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით.

4. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს. იგი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე მინისტრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობა.

5. პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით – სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.

მუხლი 56. წლობის გამოცხადება

1. ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შექმნისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომისთანავე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

2. პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

3. თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ვადის ამონურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

4. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს და არ დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს, თუ პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამონურვიდან 2 კვირის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას.

5. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება.

მუხლი 57.

უნდობლობის გამოცხადება

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

2. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყ-

ენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

3. თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

4. თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

მუხლი 58.

ნდობის გამოცხადება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი.

2. ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა. თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

3. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს, თუ პარლამენტი მთავრობისთვის ნდობის არგამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას

გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

თავი მეექვსე **სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა**

მუხლი 59. **სასამართლო ხელისუფლება**

1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.

2. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. საერთო სასამართლოებში საქმეებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 60. **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავ-

ლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

3. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

4. საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;

გ) საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;

დ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

ე) საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;

ზ) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით;

კ) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.

6. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 61.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო.

2. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

მუხლი 62.

სამართალწარმოება

1. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

2. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება კანონით.

3. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

4. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

5. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მუხლი 63.

მოსამართლე

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

2. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ შესაბამისად იუსტიციის უმა-

ლესი საბჭო ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

4. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

5. საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელია გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

6. საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 64.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო

1. საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესამედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 65.

პროკურატურა

1. საქართველოს პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

2. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც 6 წლის ვადით საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ორგანული კანონით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

3. პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საპროკურორო საბჭო, რომელიც შედგება ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩეული 15 წევრისაგან. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს საპროკურორო საბჭო.

4. პროკურატურა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს თავისი საქმიანობის ანგარიშს.

5. პროკურატურის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 66.

სახელმწიფო ბიუჯეტი

1. პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს.

2. მხოლოდ მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. მთავრობა მომდევნო საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა.

3. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. კანონი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

5. თუ პარლამენტმა არ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები დაიფარება კანონით დადგენილი წესით, წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

6. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის განკუთვნილი მიმდინარე სახსრების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილი წესით ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარება დასაშვებია მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

8. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 67.

გადასახადები და მოსაკრებლები, ეკონომიკური პოლიტიკა

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა. გადასახადისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით. საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოები.

2. ხანგრძლივი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები განისაზღვრება ორგანული კანონით. მაკროეკონომიკური პარამეტრების დადგენილი ზღვრების დარღვევისა და განსაკუთრებული აუცილებლობისას ზღვრებიდან გადაცდენის

შემთხვევები, აგრეთვე პარამეტრების ზღვრებთან დაბრუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 68.

ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

2. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. კონსტიტუციის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 69.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც 5 წლის ვადით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო სახსრების მართვის კონტროლს პარლამენტის მიერ.

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

თავი მერვე

სახელმწიფოს თავდაცვა და უსაფრთხოება

მუხლი 70.

თავდაცვის ძალები

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.

2. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია. სამხედრო სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება კანონით.

3. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.

4. თავდაცვის ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. თავდაცვის ძალების რაოდენობას მთავრობის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს პარლამენტი.

5. საომარი მდგომარეობის დროს დეკრეტით შეიძლება თავდაცვის ძალებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების გაერთიანება.

6. თავდაცვის ძალები მოქმედებენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კანონით დადგენილი წესით, ხოლო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს – პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 71.

საგანგებო და საომარი მდგომარეობა

1. საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგო-

მარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადანყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადანყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადანყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადანყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

2. მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადანყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადანყვეტილება ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადანყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადანყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

3. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლა-

მენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

4. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეაჩეროს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2-მე-6 პუნქტების, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-17 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება. საქართველოს პრეზიდენტი ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეკრეტს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ – პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ მტკიცდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

5. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნები არ ტარდება. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადანყვეტილებას იღებს პარლამენტი.

6. გადანყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისთვის დადგენილი წესით.

7. პარლამენტის გადანყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 72.

თავდაცვის ძალების გამოყენება

1. გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.

2. საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის ნარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. გადაწყვეტილებას ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე.

3. საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის ნარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.

4. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის ნარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ნარდგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.

5. პარლამენტის გადაწყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 73.

ეროვნული თავდაცვის საბჭო

1. საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული თავდაცვის საბჭოს წევრები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საბჭოს წევრებად შეიძლება მონვენულ იქნენ პარლამენტისა და მთავრობის ცალკეული წევრები. ეროვნული თავდაცვის საბჭო მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

2. ეროვნული თავდაცვის საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

თავი მეცხრა
ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 74.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზღვრები, სამართლებრივი საფუძვლები

1. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღმასრულებელი ორგანოები აღასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებებს და ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე.

2. თვითმმართველი ერთეული არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის შექმნის, გაუქმების ან მისი საზღვრების შეცვლის თაობაზე შესაბამის თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით მთავრობის წარდგინებით იღებს პარლამენტი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 75.

თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები გამიჯნულია.

2. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონმდებლობის დაცვით თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომელზე გადაწყვეტილების

მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან.

3. თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია.

4. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თვითმმართველი ერთეულისთვის უფლებამოსილების დელეგირება ხორციელდება საკანონმდებლო აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

5. სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე. თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ზედამხედველობა გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის უზრუნველყოფის მიზნით დასაშვებია მხოლოდ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 76.

ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები

1. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები.

2. თვითმმართველი ერთეული ორგანული კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად ადგენს თავის ორგანიზაციულ მოწყობას, ორგანული კანონისა და საჯარო სამსახურის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად იღებს საკადრო გადაწყვეტილებებს.

3. თვითმმართველ ერთეულს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლება აქვს ორგანული კანონით დად-

გენილი წესით ითანამშრომლოს სხვა თვითმმართველ ერთეულთან. თვითმმართველ ერთეულს ორგანული კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს განეწიანდეს თვითმმართველ ერთეულთა გაერთიანებებში.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანყვეტილებებს იღებენ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით. კონსულტაციის გამართვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულოა.

თავი მათი კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 77.

კონსტიტუციის გადასინჯვის წესი

1. კონსტიტუცია გადასინჯვა კონსტიტუციური კანონით, რომლის პროექტის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.

4. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

5. კონსტიტუციური კანონი, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

6. კონსტიტუციურ კანონს კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილი წესით ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

7. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეთერთმეტი **გარდამავალი დებულებები**

მუხლი 78.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
1995 წლის 24 აგვისტო.
№786- რს

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“
საქართველოს კონსტიტუციური კანონი

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის საქართველოს განუყოფელი ტერიტორიული ერთეული.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს ტერიტორიას ამ კანონის მიღების დღისათვის არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა დასაშვებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივის საფუძველზე საქართველოს ორგანული კანონით. აღნიშნული ინიციატივის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების ორგანოების შექმნა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება და გადაისინჯება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი კონსტიტუციური კანონი ძალაში შედის მისი დამტკიცების თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე.

5. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს დროშა და გერბი, რომლებიც დადგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის კონსტიტუციით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშასა და გერბში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო დროშისა და გერბის ელემენტები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და გერბის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს დამოუკიდებლად ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

დ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ე) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა;

ვ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა;

თ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

ი) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო ნოდების დადგენა და მინიჭება;

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის, გარემოს დაცვის სფეროში განხორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან.

4. სახელმწიფოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის უფლებამოსილების დელეგირება დასაშვებია კანონით, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სარგებლობს ფინანსური

ავტონომიით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს კანონის საფუძველზე შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილი, აგრეთვე სპეციალური დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ქონება, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით არჩეული არაუმეტეს 21 დეპუტატისგან. უმაღლესი საბჭო არჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. თუ გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა ან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში. არჩევნებს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რაოდენ-

ნობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ხოლო მათი არჩევის წესი – საქართველოს კანონმდებლობით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

3. უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა იმართება არჩევნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა და მას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

4. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

5. უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებს;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

გ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

დ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონს;

ე) ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებსა და საპატიო ნოდებებს;

ვ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა, ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს უმაღლეს საბჭოს. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია კანონის მიღებისთვის დადგენილი ხმათა რაოდენობა. კანონის პირვანდელი რედაქციით მისაღებად საჭიროა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. თუ მთავრობის თავმჯდომარემ ხელი არ მოაწერა კანონს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე ან უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

8. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას, იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ან მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. უმაღლესი საბჭოს დათხოვნა იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დროებითი სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების

ცნობისთანავე. დროებითი სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული კანონი საჭიროებს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან ერთი თვის ვადაში. თუ უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ვადაში არ დაამტკიცებს კანონს, იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება. უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება დათხოვნისა და არაუადრეს მე-60 და არაუგვიანეს 90-ე დღისა. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

9. უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

მუხლი 4

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებულ მინისტრების კანდიდატურებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას

მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ უმაღლესი საბჭო 2 კვირის ვადაში არ დაამტკიცებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 2 კვირის ვადაში უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მთავრობის იგივე ან სხვა შემადგენლობა, რომლის დამტკიცებასაც კენჭი ეყრება 2 კვირის ვადაში.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს, ახორციელებს ამ კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შექმნა დასაშვებია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ სფეროებში.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

7. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მთავრობის თავმჯდომარის ან მინისტრის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას,

საქართველოს კანონს ან საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტს.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება უწყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადადგომისას ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტისას;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნისას.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომლის პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 5

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №16, 4.07.2004, მუხ. 53).

3. ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს

პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. საქართველოს ორგანული კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი კონსტიტუციური კანონის დამტკიცებამდე ძალაშია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედი დებულებები.

საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,
13 ოქტომბერი 2017 წ.
N1325-რს



www.mtsignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში
0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71